დავით ბონდაური

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების კვლევასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი

თბილისი, 2007
„ეროვნული მწერლობა"

UDC(ეაკ)330.1317+330.101.542+330.101.541+351.746÷330.34
ბ–67

მონოგრაფია ეძღვნება საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ნაშრომში განხილულია ეკონომიკური, სამხედრო, პოლიტიკური და ჰუმანიტარული ასპექტები. ქვეყანაში სტაბილიზაციის მიღწევისათვის, საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთელ სისტემაში, ავტორი ძირითადად ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემებზე. ასევე მოცემულია საზღვარგარეთის გამოცდილების შესწავლისა და ეროვნულ–სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემის ფუნქციონირების პრობლემების გადაწყვეტის გზები.

ავტორი გამოხატავს მადლიერების გრძნობას მათ მიმართ, ვინც გამოთქვა საქმიანი შენიშვნები და მხარი დაუჭირა წიგნის შექმნის იდეას.

წიგნი განკუთვნილია საკითხავად საზოგადოების ფართე ფენებისათვის.

სამეცნიერო რედაქტორი:
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბუბუ გამსახურდია

რედაქტორი და კონსულტანტი უსაფრთხოების საკითხებში:
საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, პუბლიცისტი გელა სულაძე

რეცენზენტი – პროფესორი თამარ გამსახურდია

© დავით გონდაური, 2007.
საავტორო უფლებები დაცულია.
თუ ავტორის წერილობითი ნებართვა არ არსებობს, წიგნის არცერთი ნაწილი არ შეიძლება იქნეს გადაბეჭდილი ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით, ქსეროკოპირების, ინფორმაციის შენახვისა და მოძიების ელექტრონული სისტემებით.

ISBN 978-99940-0-944-2

ავტორი წინამდებარე წიგნისა არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი – დავით გონდაური. იგი ურთულეს საკითხს – ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრობლემებს ეხება. ეს საკითხები დღეს, ბუნებრივია, აწუხებს საზოგადოებას. ახალგაზრდა მეცნიერის მცდელობა დააყენოს პრობლემები და იფიქროს მათზე, შემოგვთავაზოს მისი გადაჭრის გზები – მისასალმებელია.

წიგნში ჩანს საკითხისადმი კონცეფტუალური მიდგომა; ყურადღება ეთმობა სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ ასპექტებს. იქნებ ცალკეული საკითხებისადმი ავტორის მიდგომა სადაოც იყოს, მაგრამ ინტერესმოკლებული არ იქნება იგი. ვფიქრობ, დავით გონდაურმა თავისი მეცნიერული ინტერესების სფეროში, საქართველოს უსაფრთხოების პრობლემის შეტანით კარგი საქმე გააკეთა და დაინტერესებული მკითხველიც კარგად შეხვდება მის წიგნს.

აკადემიკოსი როინ ფეტრეველი

გლობალიზაცია სრულიად განსხვაებულ მოთხოვნებს აყენებს თანამედროვე მსოფლიოს, მათ შორის საქართველოს წინაშე. ქვეყანა, რომელიც ვერ უპასუხებს ახალ მოთხოვნებს, შეიძლება დადგეს თვით სახელმწიფოებრიობის დაკარგვის საფრთხის წინაშე. ზოგადად – უსაფრთხოება განეკუთვნება უმნიშვნელოვანეს ფასეულობათა კატეგორიას. მისი უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების არსებობა, მისი ნორმალური განვითარება. დღეისათვის უსაფრთხოების პრობლემა ისეთივე აქტუალურია, როგორც დემოკრატია და ადამიანების უფლებების დაცვა. ადრინდელი გაგებით უსაფრთხოება გულისხმობდა სამხედრო საფრთხისგან, სახელმწიფო საზღვრების უცხო ქვეყნების ძირგამომთხრელი საქმიანობისგან, საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიური უბედურებებისგან დაცვას, ეკოლოგიურ უსაფრთხოებას და ა.შ. პრობლემების სიღრმისეულად შესწავლის შემდეგ ნათელი ხდება, რომ უსაფრთხოება ფართე ცნებაა და მას ბევრი და მნიშვნელოვანი ასპექტი გააჩნია, მათ შორისაა ეკონომიკური.

პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებიდან არც ერთს არ გააჩნია უსაფრთხო, მყარი გარემო. გამონაკლისს წარმოადგენს ამჟამად უკვე ევროკავშირის დაცვის ქვეშ მყოფი ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკა. საფრთხე ხშირად არა მხოლოდ ქვეყნის საზღვრებზე, არამედ თვით ამ ქვეყნების შიგნითაც ადმოცენდება ხოლმე. ეს ქვეყნები არასტაბილურია, მათი ეკონომიკა განიცდის ვარდნას, მათ აქვთ სხვა სერიოზული პრობლემებიც, რომლებიც საბჭოთა კავშირის ნანგრევებზე მათი სახელმწი-

ყოველრიობის აღდგენას უკავშირდება: ბევრ ამ ქვეყანაში ფეთქებადი შიდა კონფლიქტები ღვივის.

ზემოხსენებული მხოლოდ რამდენიმე პოსტსაბჭოურ ქვეყანას რომ ეხებოდეს, ეს ასე ძლიერ არ შეაშფოთებდა კაცობრიობას. მაგრამ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ნაწილში – შუა აზიაში, კავკასიასა და "ახალ შიდა მიწებზე" (ბელორუსი, მოლდოვა და უკრაინა) – განლაგებული ამ ქვეყნებიდან არც ერთი არ არის დაზღვეული შიდა გარდაქმნებით გამოწვეული საფრთხისაგან, შესაძლო სამოქალაქო კონფლიქტებისაგან და რეგიონალური ძალადობისაგან.[1] ამას გარდა, ერთ–ერთი ქვერეგიონი ან ყველა მათგანი (უფრო სწორად, მთელი პოსტსაბჭოური სივრცე) საერთაშორისო სისტემის პერიფერიაზე რომ იყოს განლაგებული, სხვა ქვეყნები, მათ შორის ზესახელმწიფოებიც, ყურადღებას არ მიაქცევდნენ ამ პრობლემების გადაჭრის წარუმატებელ მცდელობებს. ვინაიდან პოსტსაბჭოთა სივრცე მოიცავს თანამედროვე მსოფლიოს ორ მნიშვნელოვან სტრატეგიულ რეგიონს – აღმოსავლეთ აზიასა და ევროპის შიდა ნაწილს, ის წარმოადგენს მუსულმანური სამხრეთიდან წამოსული ფუნდამენტალიზმის საშიშროების წყაროს. და ბოლოს, პოსტსაბჭოთა სივრცეში განლაგებული ყველა ეს ქვერეგიონი, მეტნაკლებად ექცევა მსოფლიოში არსებული უდიდესი არასტაბილურობის ამა თუ იმ ზონების გავლენის სფეროში.

ამრიგად, საერთაშორისო თანამეგობრობის უდიდესი ნაწილისა და მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოებისათვის პრობ-

[1] ბელორუსთან, უკრაინასა და მოლდოვასთან მიმართებით ტერმინი "შიდა მიწები" მოცემულია ნაშრომში: Robert Legvold and Celeste A. Wallander, eds. *Swords and Sustenance: The Economics of National Security in Belarus and Ukraine* (Cambridge, MA: The MIT Press, 2004).

ლემას წარმოადგენს (ეს ისტორიულად ყოველთვის ასე იყო) არა რუსული, როგორც ასეთი, არამედ რუსეთი თავისი გეოგრაფიული კონტექსტის გათვალისწინებით. მაგრამ მთლიანობაში არც ამით აიხსნება ქვეყნის ამ ნაწილში არსებული სიტუაცია. ყოველი ქვერეგიონი შეიძლება არეულობის წყარო გახდეს და მან საფრთხე შეუქმნას მომიჯნავე რეგიონებს ან მათ სტაბილურობას. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ თითქმის ყველა რეგიონში შეიმჩნევა ლიბერალიზმის წინააღმდეგ მიმართული ფარული შიდაპოლიტიკური ბრძოლის ტენდენციები, რომლებიც დასავლეთს იმედს უკარგავს, რომ პოსტსაბჭოური ქვეყნები შემდგომი დემოკრატიული განვითარების ადგილი გახდება. ყველა ეს ქვერეგიონი იქცა ნარკოტიკების, იარაღისა და კონტრაბანდული საქონლის დერეფნად, სადაც ადამიანებით ვაჭრობასაც აქვს ადგილი. შესაძლოა, მომავალში ამ დერეფნებით მასობრივი განადგურების იარაღის დასამზადებელი კომპონენტების გადატანაც გახდეს შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ არცერთ ქვერეგიონში არ ხდება ზემოაღნიშნული საფრთხეების ისეთი აშკარა დემონსტრირება, როგორც კავკასიაში და კერძოდ საქართველოში. გარდა ამისა, საქართველოს ამ საფრთხის განსაზღვრაში გაცილებით მნიშვნელოვანი როლი აკისრია, ვიდრე ქვერეგიონის სხვა ქვეყნებს. სწორედ ხვენი ნაშრომის მიზანიც ზემოაღნიშნული პრობლემების კვლევაა.

საქართველოში მომხდარი „ვარდების რევოლუციის" შემდეგ კვლავ ღიად რჩება ერთი საკითხი: რა იმედისმომცემიც არ უნდა იყოს ახალი ხელისუფლების განზრახვა და მათ მიერ გადადგმული პირველი პოზიტიური ნაბიჯები, მაინც უპ-

ასუხოდ რჩება კითხვები: შესწევს თუ არა ხელისუფლებას ძალა, გადაწყვიტოს სახელმწიფოს წინაშე მდგარი ურთულესი პრობლემები? შეძლებს თუ არა იგი სახელმწიფოსათვის ესოდენ მნიშვნელოვანი უსაფრთხოების მიღწევას?

როგორც ჩანს, გარეული მოქმედი ნეგატიური ძალები საღად ვერ აფასებენ თავიანთ როლს საქართველოს განვითარებაში (ეს უპირველეს ყოვლისა რუსეთს ეხება) ან არ შეუძლიათ, ეს როლი უფრო მნიშვნელოვანი გახადონ (აქ იგულისხმება ევროპელები და ამერიკელები). ქართული მხარისათვის კი მისი სისუსტე კონცეპტუალურია: გაურკვეველია, თუ როგორ უნდა იყოს განხილული საქართველოს უსაფრთხოების პრობლემა სხვადასხვა ასპექტში ისე, რომ გათვალისწინებული იყოს მისი რთული ურთიერთკავშირები.

წინამდებარე ნაშრომის შექმნის ერთ–ერთი მიზეზი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პრობლემატიკის განხილვის სურვილია. ავტორი ეცადა, უფრო ნათლად განესაზღვრა საქართველოს წინაშე მდგარ საფრთხეთა განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორები და მათი ურთიერთქმედება. საქართველოს უსაფრთხოების პრობლემას ხშირად განიხილავენ, როგორც მრავალშრიან საკითხს, რომელშიც შედის სეპარატიზმის საშიშროება, სახელმწიფო ინსტიტუტების ნგრევა და რუსეთის ინტრიგები. ბევრი აღნიშნავდა, მაგრამ ხმამაღლა არ ამბობდა, რომ არსებობდა კავშირი საქართველოს შიდა სისუსტესა და რეგიონის არასტაბილურობას შორისაც. მაგრამ, თუ მხოლოდ უსაფრთხოების პრობლემის სხვადასხვა ასპექტების ჩამოთვლით შემოვიფარგლებით, არ განვიხილავთ მათი ურთ-

იერთგაელენის ფაქტორებს და არ შეეისწაელით უშუალო ურთიერთკავშირს არასტაბილურობის შიდა და გარე ფაქტორებს შორის, მაშინ რთული იქნება ეროვნული უსაფრთხოების ისეთი კონცეფციის რეალიზაცია, რომელიც საშუალებას მოგეცემს, სრულად შეეაფასოთ პრობლემის სირთულე.

როდესაც საუბარია მსოფლიოსათვის საქართველოსა და მისი უსაფრთხოების პრობლემების მნიშვნელობის შეფასებაზე, პოლიტიკოსები ვაშინგტონში, ბრიუსელსა და, ალბათ, მოსკოვშიც ვერ განიხილავენ საქართველოს პრობლემებს უფრო ფართე რეგიონალურ კონტექსტში. ამის გამო ისინი ჯეროვნად ვერ აფასებენ თავიანთ როლს და არასწორად ესმით საკუთარი ინტერესები საქართველოს წინაშე მდგარი პრობლემების საბოლოო გადაწყვეტაში. ის ფაქტი, რომ ისინი ყურადღებით აკვირდებიან საქართველოში განვითარებულ მოვლენებს, რადგანაც ამ რეგიონში თავიანთი ინტერესები გააჩნიათ, არ ნიშნავს იმის გაგებას, რომ დადებითად ურთიერთქმედებენ რეგიონში მოქმედი ძალები. ასევე მათი გულწრფელი, მაგრამ ზოგადი სურვილები, რომ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ დემოკრატიისა და ევროპასთან დაახლოების კურსით იაროს, არ არის იმის გარანტია, რომ ისინი გაატარებენ იმ ჩახლართული შიდა და გარე რეალობის შესაბამის პოლიტიკას, რომელშიც საქართველო იმყოფება.

აქვე მინდა ვისარგებლო და გაწეული დახმარებისთვის უღრმესი მადლობა მოვახსენო აკადემიკოს ბატონ როინ მეტრეველს, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, პუბლიცისტს ბატონ გელა

სულაძეს. პროფესორებს: ბატონ გიორგი გამსახურდიასა და ქალბატონ თამარ გამსახურდიას, ქალბატონ ხათუნა ჩხარტიშვილსა და ინგა დიასამიძეს.

მიგვაჩნია, რომ ნაშრომი დაზღვეული ვერ იქნება ხარვეზებისგან. აღნიშნულის გათვალისწინებით, ავტორი მადლიერებით მიიღებს მკითხველის მიერ მოწოდებულ სასარგებლო შენიშვნასა და რჩევა–წინადადებებს.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები

ეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილია და ეკონომიკური ბაზისის პირველადობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მისი საფუძველიცაა, რადგანაც საზოგადოების განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია გვიჩვენებს, რომ პოლიტიკური, იდეოლოგიური, სოციალური, კულტურული და ა.შ. განვითარების ძირითად მიმართულებებს და ტენდენციებს საბოლოო ჯამში ეკონომიკური განვითარება განსაზღვრავს. სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების უმთავრესი ამოცანაა მსოფლიოს ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის პოზიციების შენარჩუნება და განმტკიცება.

ეკონომიკური უსაფრთხოების ცნების ფორმულირებისათვის აუცილებელია პირველ რიგში „ეროვნული უსაფრთხოების" ცნების განსაზღვრა. ეროვნული უსაფრთხოების ცნების შინაარსი მოიცავს ერის, როგორც კულტურულ–პოლიტიკური ერთობის, ყველა იმ სასიცოცხლო პირობას, რომელიც უზრუნველყოფს მის მდგრად არსებობასა და განვითარებას. ტრადიციულად, ეროვნული უსაფრთხოება გულისხმობს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და მისი შინაგანი პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას. პოლიტიკურ ლექსიკონებში ტერმინი „ეროვნული უსაფრთხოება" აშშ-ის 1901-1909 წლებში პრეზიდენტის თეოდორ რუზველტის დამსახურებით გაჩნდა. მან 1904 წელს აშშ-ს კონგრესს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც სამოქალაქო არხის მშენებლობისათვის პანამის ტერიტორიების ოკუპირებას ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებით ასაბუთებდა.

მას შემდეგ „ეროვნული უსაფრთხოების“ ცნება უფრო დაიხვეწა და გაფართოვდა. მაგალითად: ცნობილმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა პანს მორგენტაუმ ეროვნული უსაფრთხოების პრობლემებში ჩართო არა მარტო სამხედრო, არამედ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველა საკითხი. აშშ მსოფლიოში პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების გადასაჭრელად 1947 წელს მიიღო შესაბამისი კანონი და იმავე წელს შექმნა სპეციალური სტრუქტურა – „ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭო“. შემდგომ პერიოდში აღნიშნული პრობლემების მეცნიერული კვლევა მსოფლიოში კიდევ უფრო გაფართოვდა, თუმცა აშშ ამ მხრივაც ლიდერად რჩებოდა. გამოქვეყნდა მიელი რიგი სამეცნიერო ნაშრომები და სტატიები (უ.ლიპმანის, ჯ.რენერის, რ.კენანის და სხვ.), რომლებშიც განხილული იყო ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი საკითხები. აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი თვლიდა, რომ ეროვნული უსაფრთხოება მოიცავს ყველა სფეროს, სადაც საზოგადოების სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხები წყდება.

აშშ-ს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციაში ძირითად მიზნად, ქვეყნის სამრეწველო საიდუმლოებების დაცვასთან ერთად, განსაზღვრულია ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების უზრუნველყოფაც. 1993 წელს უორენ კრისტოფერი, აშშ-ს მაშინდელი სახელმწიფო მდივანი, აღნიშნავდა, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს "სამ ვეშაპს": ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცებას, დემოკრატიის მხარდაჭერასა და ადამიანის უფლებების დაცვას. 1995 წლის დეკემბერში პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უფროსის) მიერ დამტ-

კიცდა მეძორანდუმი, რომელშიც გადმოცემულია ეკონომიკური უსაფრთხოების ეროვნული პროგრამის ძირითადი პოსტულატები. პროგრამის რეალიზაციის შედეგად შეიქმნა ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემა, რომელშიც განსახღვრულია აშშ-ს ტექნოლოგიურ სფეროში ლიდერობის შენარჩუნებისა და ეკონომიკური ინტერესების უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებები. შექმნილ უწყებათა შორის ჯგუფებში შეეიდნენ თავდაცვის მინისტრის მოადგილე, ცენტრალური სადაზვერო სამმართველოს დირექტორის მოადგილე, ენერგეტიკის მინისტრი, გამოძიების ფედერალური ბიუროს და ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს წარმომადგენლები, წამყვანი კორპორაციების - "ჯენერალ ელექტრიკის", "ბოინგის", "ტრე"-ის ხელმძღვანელები. ჯგუფის მიერ მოხდა არა მარტო აშშ-ის ეკონომიკური უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული საფრთხის ცალკე დაფიქსირება (გამოყოფა), არამედ მიდებული იქნა ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საფრთხეთა და მათი შეფასების ერთიანი კატალოგის გამოშვების გადაწყვეტილება.

ბილ კლინტონის ადმინისტრაციამ დააღასტურა ეკონომიკური უსაფრთხოების პრიორიტეტული მნიშვნელობა. ვინაიდან მომხდარი ცვლილებების გამო დაპირისპირების ძირითად არეალად გადაიქცა ეკონომიკა და სამეცნიერო–ტექნიკური პროგრესი,ამ სფეროებში ლიდერობისათვის ბრძოლაში ერთ–ერთი მთავარი როლი დაეკისრათ სპეცსამსახურებს. 1990-იან წლებში ეკონომიკური დაზვერვისათვის აშშ-ს ბიუჯეტიდან გამოყოფილმა თანხამ შეადგინა დაზვერვის მთელი დაფინანსების 40%-ზე მეტი. ამჟამად, აშშ-ს სპეცსამსახურები ერთად

მოიპოვებენ ინფორმაციას მსოფლიო ექსპორტ–იმპორტში მიმდინარე პროცესებზე, უცხო ქვეყნების მთავრობის მიერ თავიანთი ფირმების ექსპორტის ხელშეწყობისა და შიდა ბაზრის კონკურენტისაგან დაცვის შესახებ. ეს პროცესი ორი მიმართულებით ხორციელდება: მაკროეკონომიკური დაზვერვით და ეკონომიკური კონტრდაზვერვით. უკვე 1994 წლისათვის აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს და სხვა სპეცსამსახურების თანამშრომლები "დანერგილი" იყვნენ აშშ-ის 150-ზე მეტ წამყვან კორპორაციაში.[2] ეფიქრობთ, ზემოაღნიშნული ნათლად ცხადყოფს ამერიკელთა ჭეშმარიტ მიდგომას ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემებისადმი.

ეკონომიკური უსაფრთხოება როგორც „ეროვნული უსაფრთხოების" ერთ–ერთი შემადგენელი ნაწილი წარმოადგენს ქვეყნის სახელმწიფო უშიშროების სისტემის არა მარტო ორგანულ შემადგენელ ნაწილს, არამედ გარკვეული სახით მის საფუძველსაც. ეკონომიკური უსაფრთხოება მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს უსაფრთხოების ერთიან სისტემასთან. მისი ცალკე გამოყოფა შეუძლებელია. წარმოუდგენელია, ქვეყნის ძლიერი სამხედრო უსაფრთხოების არსებობა არაეფექტური და სუსტი ეკონომიკის პირობებში და პირიქით.

თანამედროვე გლობალურ მსოფლიოში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა განპირობებულია შემდეგი ძირითადი ფაქტორებით:

---

[2] ჯემალ გახოკიძე, ზურაბ გარაყანიძე. „ეკონომიკური უსაფრთხოების ადგილი და როლი ქართული სახელმწიფოს ფორმირებაში". ქართული სამართლის მიმოხილვა – 2001 წლის მესამე-მეოთხე კვარტალი.

1. სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული ინტერესებისა და მიზნების დაპირისპირებით, რაც ძირითადად საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების ინტერნაციონალიზაციითა და ეროვნული ეკონომიკური მეურნეობების სულ უფრო მზარდი ურთიერთდამოკიდებულებითაა განპირობებული;

2. სტრატეგიული რესურსების არათანაბარი განაწილების გამო მათი ტრანსპორტირებისა და მოხმარებისას წარმოქმნილი დაპირისპირებით;

3. გასაღების ბაზრების ხელში ჩასაგდებად მიმდინარე სულ უფრო მზარდი კონკურენტული ბრძოლით.

4. სარწმუნოებრივი და ეკონომიკური კეთილდღეობის უთანაბრობის ნიადაგზე ცივილიზაციათა შორის დაპირისპირებით.

დღეისათვის, ამა თუ იმ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდა, საბოლოო ჯამში, იწვევს სხვა ქვეყნების ინტერესებთან და მიზნებთან დაპირისპირებას. ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს სტაბილური და მდგრადი განვითარების მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს. ამავე დროს, ეკონომიკური უსაფრთხოება არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც იდეალური მოდელი, რომელიც ავტომატურად, დამოუკიდებელ რეჟიმში, საზოგადოების და სახელმწიფო სტრუქტურების ძალისხმევის გარეშე იმოქმედებს და სასურველ შედეგამდე მიგვიყვანს.

სტრუქტურული თვალსაზრისით, ეკონომიკური უსაფრთხოება არის იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნული ეკონომიკის

დამოუკიდებლობას, სტაბილურობას და მუდმივი განახლებ-ის უნარს. შესაბამისად, ეკონომიკური უსაფრთხოების მიზნების განხილვისას მხედველობაშია მისაღები შემდეგი სამი ელ-ემენტი:

- ეკონომიკური დამოუკიდებლობა. შრომის საერთა-შორისო დანაწილებისა და გლობალიზაციის პროცესში ქვეყნის ეკონომიკა მეტად არის დამოკიდებული სხვა ქვეყა-ნაში მიმდინარე პროცესებზე. ეკონომიკური უსაფრთხოების ამ ელემენტის მიზანს წარმოადგენს ეროვნული რესურსების განკარგვაზე და მის ეფექტურ განაწილებაზე კონტროლის დაწესება (სწორედ მსგავსი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ 1997–1998 წლებში სამხრეთ–აღმოსავლეთი აზიის ქვეყნები, რამაც ძლიერი ეკონომიკური კრიზისი ამ ქვეყნებში გარდაუ-ვალი გახადა და საშიშროება შეუქმნა სხვა ქვეყნების ეკონომიკურ უსაფრთხოებასაც);
- ეროვნული ეკონომიკის სტაბილურობა. იგი თავის თავში მოიცავს საკუთრების ნებისმიერი ფორმის დაცვას, სამეწარმეო აქტივობისათვის ხელსაყრელი პირობების შე-ქმნას (როგორც სამართლებრივი, ისე სამეწარმეო თვალ-საზრისით), მადესტაბილიზირებელი ფაქტორების შეჩერებას (როგორც შიდა, ისე საგარეო საკითხების პირობებში);
- თვითგანვითარებისა და პროგრესის უნარი. მასში განიხილება ეკონომიკაში ავტომატიზირებული სისტემის დანერგვა, ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნა.

ნებისმიერ ქვეყანას გააჩნია არსებობისა და განვითარე-ბის თავისი, განსაკუთრებული პირობები. განსხვავებულია

თითოეული მათგანის ეკონომიკური უსაფრთხოების პირობებიც. ამდენად, ქვეყნის უშიშროების სისტემას აქვს საკუთარი, განუმეორებელი შინაარსი. ქვეყნის მიერ სხვა სახელმწიფოთა ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის სისტემათა ასლის გადაღება შეუძლებელია, ქვეყანამ ამგვარი უზრუნველყოფა საკუთარი ძალისხმევით უნდა შეძლოს.

2005 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია", რომელშიც დაისახა საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების პრიორიტეტები და მათი გადაჭრის ძირითადი გზები:

1. <u>მაკროეკონომიკური სტაბილურობის განმტკიცება</u> საბიუჯეტო სისტემის და საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესების, ადეკვატური ფულად–საკრედიტო პოლიტიკის გატარების, საშუალოვადიანი სახარჯო პოლიტიკის პრინციპების დანერგვისა და სახელმწიფო ვალის ეფექტიანი მომსახურების გზით;

2. <u>კერძო სექტორის განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა</u> ეკონომიკის ინსტიტუციური დარეგულირების, მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირების. საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებისა და კერძო საკუთრების უფლების დაცვის მეშვეობით;

3. <u>სოფლის მეურნეობის სექტორში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება და მიწის ბაზრის განვითარება;</u>

4. <u>მრეწველობის ტრადიციული და ინოვაციური დარგების განვითარებისათვის ბიზნეს–გარემოს შექმნა;</u>

5. <u>ტურიზმის განვითარება და საქართველოს ტურისტული პოტენციალის სრული რეალიზაცია;</u>

6. <u>რეგიონებსა და დედაქალაქს შორის[1] სოციალური და ეკონომიკური ეთანასწორობის შემცირება</u> რეგიონული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების, რეგიონების თანაბარი განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნისა და მთიანი რეგიონებისათვის სპეციალური პროგრამების განხორციელების გზით;

7. <u>საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება</u> და ქვეყნის შედარებითი უპირატესობების, განსაკუთრებით – სატრანზიტო, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო პოტენციალის რეალიზაცია, მათ შორის გზების აღდგენა–განვითარების მეშვეობით;

8. <u>საერთაშორისო ეკონომიკურ პროექტებში აქტიური მონაწილეობა,</u> რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრირებას გლობალურ ეკონომიკაში;

9. <u>საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ხელშეწყობა;</u>

10. <u>ჯანსაღი კონკურენტული გარემოს და ბიზნესში თანაბარი შესაძლებლობების პირობების შექმნა</u> და პრივილეგირებული, კონკურენციის შემზღუდავი უფლებების მინიჭების არდაშვება, განსაკუთრებით კომუნიკაციებისა და ენერგეტიკის სფეროში.[3]

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ზემოთ ჩამოთვლილი პრიორიტეტები წარმოადგენს იმ ნაბიჯების აუცილებლობას, რომელიც საქართველომ უნდა გადადგას ამ მიმართულებით და სახავს აუცილებელ გზას, რომელიც გამომდინარეობს ქართველი ხალხის მისწრაფებებიდან. ჩვენ სრუ-

---

[1] საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა". გვ.22, თბილისი 2005წ

ლად უნდა გავაცნობიეროთ, რომ ამ გზის გაელა მოითხოვს დროს, თავდაღებას და დიდ შრომას. ამ გზაზე მრავალი პრობლემაა, მაგრამ არის რეზერვები და შესაძლებლობებიც, რომლებიც მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაჩვენებლების (ინდიკატორების) ზღვრულ მნიშვნელობებს, რომელთა ქვემოთაც იწყება ნეგატიური პროცესები და საფრთხის ქვეშ დგება საზოგადოება. ეს ინდიკატორი გამოიყენება სისტემების ფუნქციონირების შეფასებისთვის. უმაღლესი ხარისხის ეკონომიკური უსაფრთხოება მიიღწევა, როცა ყველა მაჩვენებელი დასაშვებ საზღვრებშია. თუ მაჩვენებელი ზღვარს აჭარბებს, საფრთხე იზრდება. საშიშროება მეტია, რაც უფრო იზრდება დასაშვებ ზღვარს მიღმა მაჩვენებლების რაოდენობა. ამ დროს საზოგადოება, მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, იძულებულია ინტენსიურად მიმართოს ჩრდილოეან ურთიერთობებსა და კორუფციას, რითაც კიდეე უფრო ზრდის საფრთხის ალბათობას. ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების გამოყენებით ხდება ქვეყნის რესურსული პოტენციალის, მისი ეფექტურად გამოყენების, ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის, სუვერენიტეტის, სოციალური სტაბილურობის და ა. შ. გაანალიზება.

ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორთა სისტემა მოიცავს ისეთ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, როგორიცაა: მოსახლეობის ცხოვრების დონე, ინფლაციის ტემპი, უმუშევრობის დონე, ეკონომიკური ზრდა, ბიუჯეტის დეფიციტი, სახ-

ელმწიფო ვალი, ქვეყნის ოქროს რეზერვები, ჩრდილოეთი ეკონომიკის დონე, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი, ერთობლივი ეროვნული პროდუქტი.

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მეთოდებია:

- პოლიტიკური (დიპლომატია, სამთავრობოთაშორისო ხელშეკრულებები, დიასპორა, კულტურული კავშირები, ლობირება, სახალხო დიპლომატია და ა.შ.);
- ეკონომიკური (ეკონომიკის სტრუქტურული სრულყოფა, ექსპორტ-იმპორტის დივერსიფიკაცია, ეროვნული ვალუტის დაცვა, სახელმწიფოს ინტერესებში პრივატიზების პროცესის შესაბამისობა და ფისკალური პოლიტიკის დახვეწა, სტრატეგიული რესურსების მარაგების შექმნა, რესურსებით მდიდარი ქვეყნების მომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობაში ინვესტირება, ეკონომიკური დაზვერვა და ა.შ.);
- ძალისმიერი (საპასუხო ეკონომიკური სანქციებით ზემოქმედება, სამხედრო შენაერთების გამოყენება და ა.შ.).

აღნიშნული მეთოდების გამოყენებით საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ერთი რომელიმე უწყების ძალისხმევა არ გამოიღებს სასურველ ეფექტს. საჭიროა კომპლექსური, უწყებათშორისი კოორდინაცია ყველა იმ სამთავრობო დაწესებულებების საქმიანობისა, რომლებიც ეკონომიკური საფრთხეების ანალიზზე იმუშავებენ. თანამედროვე პირობებში საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი ამოცანებიდან გამომდინარე, შესაბამისმა უწყებებმა უნდა იმუშაონ ქვეყნის ისეთ აქტუალურ პრობლემებზე, როგორებიცაა:

1. კორუფციული ხასიათის დანაშაულის პროფილაქტიკა ნორმატიული აქტების ექსპერტიზის გზით;

2. ეკონომიკური სიერცის დაცვა (კონტრაბანდის აღმოფხვერა);

3. სატრანსპორტო დერეკნის უსაფრთხოება (აბრეშუმის გზის და ნავთობსადენის უსაფრთხოების უზრუნველყოფა);

4. სარეკიმო ობიექტების დაცვა;

5. საინვესტიციო უსაფრთხოება (ენერგეტიკის და სხვა სტრატეგიული ობიექტების საინვესტიციო პროგრამების შესრულების მონიტორინგი);

6. ფულად-საკრედიტო სისტემის მდგრადობის შენარჩუნება;

7. საბიუჯეტო სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლა;

8. სასურსათო უსაფრთხოება.

ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობაზე ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ეკონომიკური პოლიტიკა ახდენს. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია: სახელმწიფო მეწარმეობა, საბიუჯეტო— საგადასახადო პოლიტიკა, ფულად—საკრედიტო პოლიტიკა, საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა. სწორედ ამ მექანიზმების კომბინაციის გამოყენებით სახელმწიფოს შეუძლია სასურველი მიმართულება მისცეს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ამასთან ერთად, არსებობენ ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშემშლელი ფაქტორები, რომლებიც უდიდეს პრობლემებს ქმნიან ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშემშლელ ფაქტორებს მიეკუთვნებიან:

- ინფლაცია, რომელიც აუფასურებს მოქალაქეთა დანაზოგებს, ბლოკირებას უკეთებს ინვესტიციებს, სტიმულს ართმევს მეწარმეს, აფერხებს ეკონომიკის წინსვლას;
- მაღალი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც საწარმოებისათვის კრედიტს მიუწვდომელს ხდის და ეკონომიკის შეკუმშვის მიზეზია;
- ბიუჯეტის დეფიციტი, რომელიც ინფლაციის და მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამომწვევი მიზეზია. მთავრობის კრედიტებზე მოთხოვნა ზედმეტი ფულის ბეჭდვის, ან საპროცენტო განაკვეთის გადიდების გამომწვევი ფაქტორია. ბიუჯეტის დეფიციტი ნებისმიერ შემთხვევაში უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე;
- გადასახადების მაღალი დონე. საგადასახადო ტვირთის სიდიდე კერძო ბიზნესის განვითარებას უშლის ხელს. ყველაზე უსამართლო არაპირდაპირი გადასახადების მაღალი დონეა, რადგან უფრო მეტად ღარიბები ზარალდებიან.

ზემოხსენებულ ფაქტორებში არასასურველი ცვლილები მოახლოებული საფრთხის ნიშანია, განმსაზღვრელია კრიტიკული ზღურბლის გადალახვის მომენტი. საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სახელმწიფოსათვის კრიტიკული სიტუაცია იქმნება როცა (იხ. ცხრილი №1):

1. მთლიანი შიდა პროდუქტის და სამრეწველო წარმოების დაცემის დონე 30%-ს აღემატება;
2. საგარეო ვალი მთლიანი შიდა პროდუქტის 40%-ს აჭარბებს;
3. უმუშევრობის დონე 12%-ზე მეტს აღწევს;

4. ინფლაციის ყოველთვიური ტემპი 8%-ს აღემატება;

5. შრომის ანაზღაურების წილი მოსახლეობის პირად შემოსავლებზე 60%-ზე ნაკლებია;

6. თანაფარდობა მოსახლეობის ყველაზე მაღალ და დაბალშემოსავლიანი ნაწილის 10%-ის შემოსავლებს შორის ზღვრულ სიდიდეს (1:10) აღემატება;

7. კეების იმპორტული პროდუქტების წილი 30%-ზე მეტია;

8. ექსპორტში გადამამუშავებელი მრეწველობის წილი 45%-ზე, მაღალტექნოლოგიური, მეცნიერებატევადი პროდუქციის წილი კი 15%-ზე ნაკლებია;

9. მოსახლეობის 10%-ზე მეტი სიღარიბის ზღვარს მიღმაა;

10. მთლიან შიდა პროდუქტში მეცნიერებაზე სახელმწიფო ასიგნებათა წილი 2%-ზე ნაკლებია და ა.შ.[4]

ცხრილი №1[5] ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები

	მაჩვენებლები	ზღვრული მნიშვნელობა, %	ფაქტიური მნიშვნელობა, %
1	მშპ-ის დაცემის ღონე	30	59
2	სამრეწველო წარმოების დაცემის ღონე	30	83
3	ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები	5–6	68–70
4	სახელმწიფო ვალი მშპ-თან	25	49,2?
5	ბიუჯეტის დეფიციტი	5	30
6	იმპორტის წილი შიდა მოხმარებაში	30	68
7	ინვესტიციების მოცულობა მშპ-ში	25	9
8	არსებული რეჟიმის ლეგიტიმურობის ღონე	40	80

ასეთ პირობებში შეუძლებელია საზოგადოების ნორმალური განვითარება ცივილიზებული სამართლებრივი და ეთიკური ნორმების შესაბამისად, ვინაიდან სახელმწიფო მართვის სისტემას, მის შემადგენელ ინსტიტუტებს არ შესწევთ უნარი უზრუნველყონ საზოგადოების სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნილებების დაცვა შიდა და გარე საფრთხეებისგან.

[4] А. Илларионов, «Критерии эк. безопасности» Вопроси экономики 1998 № 10

[5] რ.ოთინაშვილი. „ეკონომიკური უსაფრთხოება, ანალიზის ანტიკრიმინალური ასპექტები". გვ302. თბილისი 2005წ.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით, ექმნება როგორც შიდა, ასევე გარე საშიშროება.

შიდა საშიშროებებია:

• ერთიანი ეკონომიკური სივრცის (ქვეყნის მასშტაბით) მოშლა;

• ეკონომიკის სტრუქტურული დეფორმაცია, მისი დაბალი კონკურენტუნარიანობა;

• ეკონომიკის მონოპოლიზაციის მაღალი ხარისხი;

• სოციალურ–ეკონომიკური განვითარების რეგიონალური უთანაბრობის გაღრმავება;

• საგადასახადო შემოსავლების მცირე წილი მთლიან შიდა პროდუქტში, გადასახადების აკრეფის დაბალი დონე;

• ეკონომიკურ პროცესებში ფულად–საკრედიტო პოლიტიკისა და საბანკო სისტემის სუსტი რგოლი;

• ინფლაციის (პოტენციური) მაღალი ალბათობა;

• სახელმწიფო შიდა ვალის ზრდა;

• საბიუჯეტო კრიზისის მზარდი მასშტაბები, ინვესტიციური კრიზისი;

• ეკონომიკის ნაწილობრივი კრიმინალიზაცია;

• უმუშევრობის ზრდა და შრომის მოტივაციის შესუსტება;

• მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის გაღრმავება, სიღარიბის ზრდა;

• საზოგადოების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

• სამეცნიერო–ტექნიკური პოტენციალის შემცირება;

- ქვეყნის დეპოპულაცია, მოსახლეობის აღწარმოების მექანიზმის მოშლა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შემცირება.

გარე საშიშროებებია:

- ქვეყნის სუსტი მონაწილეობა საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში, მსოფლიო მთლიან შიდა პროდუქტში მისი დაბალი წილი;
- ქვეყნის ეკონომიკის დაბალი მიმზიდველობა და სუსტი კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზრებზე;
- ექსპორტ–იმპორტის არაეფექტური სტრუქტურა, სავაჭრო ბალანსში ექსპორტის მცირე მოცულობა, მასში ნედლეულის დომინირება;
- გაზრდილი სახელმწიფო ვალი;
- უცხო ქვეყნების ექსპანსიური ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოს მიმართ;
- ტერიტორიული მთლიანობის დროებით მოშლის შედეგად, ეკონომიკის ერთიანი მართვის მოშლის საშიშროება.

თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობების მსოფლიო სისტემაში საქართველოს სრულფასოვანი ჩართვისა და მისი საერთაშორისო როლის განმტკიცების მიზნით, უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების ხელშემწყობი პირობების შექმნა. ამ თვალსაზრისით, საგარეო პოლიტიკის ამოცანებია: ქვეყნის ექსპორტისათვის ხელსაყრელი ნიადაგის შექმნა, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, არსებული თუ პოტენციური სატრანსპორტო დერეფნების ამუშავება და რეგიონული და რეგიონთაშორისი

ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება,. ამ მიზნით აუცილებელია:[6]

ექსპორტის მხარდაჭერა:

- ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიება;

ქართული პროდუქციის გაცნობის მიზნით პოტენციურ ბაზარზე ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა;

- საზღვარგარეთ ქართველ მეწარმეთა ინტერესების დაცვა.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა:

ინვესტიციების მოზიდვისა და წახალისების მიზნით პოტენციურ პარტნიორებთან მუშაობის გააქტიურება;

- შესაბამისი ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების გაფორმება;

- ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა საერთაშორისო ეკონომიკური, ფინანსური და ტექნიკური დახმარების მოზიდვის მიზნით;

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად პროექტების რეალიზაციის ხელშეწყობა.

სატრანსპორტო დერეფნის პოტენციალის გამოყენება:

- ქვეყნის რეგიონალური სატრანზიტო ცენტრის სტატუსის დამკვიდრება და განმტკიცება;

ერთიანი სატრანსპორტო დერეფნის პოტენციალის რეალიზაციის მიზნით, ქვეყნის სატრანსპორტო სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა;

- ქვეყნის ეკონომიკური და სატრანსპორტო თანამშრომლობის გეოგრაფიული არეალის გაფართოების მიზნით, ევროპის,

---

[6] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. 'საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ხედვა და დირექტივები 2006 წლისათვის". თბილისი 2006წ.

განსაკუთრებით მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის, ცენტრალური აზიის, სამხრეთ კავკასიის, კასპიის ზღვის აუზის, ახლო და შორეული აღმოსავლეთის და სხვა ქვეყნებთან ერთობლივ პროექტებზე მუშაობის გააქტიურება.

საერთაშორისო და რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება:

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) ფარგლებში აქტიური თანამშრომლობა ეროვნული საგაჭრო პოლიტიკის მსოფლიო სტანდარტებამდე ამაღლებისა და ქვეყნის ეკონომიკური სისტემის ლიბერალიზაციის მიზნით;

- ვმო-ს წევრობის გამოყენება საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის;

დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია – სუამ-ის წევრ ქვეყნებს შორის საეაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების სრულად ამოქმედება;

- BSEC-ის წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება, წინადადებების მომზადება ვაჭრობის ხელშემშლელი ბარიერების თანდათანობით გაუქმების მიმართულებით;

- *საქართველოს ახალ მეგობართა* და *3+3 ჯგუფების* ფორმატში დახმარების გამოყენება რეგიონული ეკონომიკური პროექტებისა და რეფორმების განხორციელების მიზნით;

დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობის ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობა და გაღრმავება.

სასაზღვრების დაცულობა და მართვა:

- ევროკავშირთან საზღვრის დაცვისა და მიგრაციის მართვის სფეროში თანამშრომლობის შესაძლო მექანიზმების შემუშავების თაობაზე კონსულტაციების გამართვა;

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის პროცესის დასრულება სასაზღვრო რეგიონებში ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად;

- საზღვრებზე უკანონო საქონლის, კაპიტალისა და მუშახელის მოძრაობის აღმკვეთი ღონისძიებების გატარების ხელშეწყობა;

- მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობით საქონლისა და ფიზიკურ პირთა არალეგალური გადაადგილების აღკვეთის ხელშეწყობა;

სასაზღვრო-საბაჟო პროცედურების გამარტივებაში, საზღვრის გამშვები პუნქტების შესაბამის ტექნიკურ აღჭურვაში, საზღვრის დაცვისა და საბაჟო სამსახურების მუშაობის ხელშეწყობა.

ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის მზარდი მასშტაბები და მისი ინსტიტუციონალიზაცია მთავარი საშიშროებაა, რომელიც ემუქრება საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას, ამავე დროს, იგი დღევანდელი ეკონომიკური კრიზისისა და სხვა საშიშროებების გამომწვევი ერთ–ერთი ძირითადი მიზეზია. ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის სისტემური სახით არსებობას მივყავართ საზოგადოებრივი სისტემის დეგრადაციამდე, რომელმაც ქვეყანა შესაძლოა მიიყვანოს ეროვნულ კატასტროფამდე.

მსოფლიო სამეურნეო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფა ამ სფეროში სახელმწიფო ჩარევის მასშტაბების შემცირებითაა შესაძლებელი. კრიზისული სიტუაციიდან გამოსასვლელად საქართველოს ხელისუფლებამ ეკონომიკაზე სახელმწიფო დატვირთვა ყოველწლიურად უნდა შეამციროს.

მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ღონისძიებებია:[7]

1. უდეფიციტო ბიუჯეტის უზრუნველყოფა, მისი დეფიციტის აღმოფხვრა (ბიუჯეტის დეფიციტი მაქსიმუმ მშპ-ს 0% და მინიმუმ 3% უნდა იყოს);

2. ახალი სესხების აღებაზე უარის თქმა (სახელმწიფო ვალის ყოველწლიური ზრდის ტემპმა მშპ-ს მაქსიმუმ 10%, მინიმუმ 0-დან 5%-მდე უნდა შეადგინოს);

3. სახელმწიფო ვალის მომრავლების შეწყვეტა, მისი ძირითადი ნაწილის დაფარვაზე თანდათანობით გადასვლა;

4. დარჩენილი სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის დასრულება (სახელმწიფო საკუთრებაში დარჩეს იმდენი საწარმო, რომ მათი პროდუქციის ხვედრითი წონა მშპ-ში მაქსიმუმ 3%-ზე ნაკლები და მინიმუმ 10-დან 15%-მდე იყოს);

5. სახელმწიფო ვალდებულებების პრივატიზაცია;

6. მკაცრი ფულადი პოლიტიკის გატარება (ფულადი მასის ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპების გამოკლებით, ფულადი ემისიის მასშტაბები

---

[7] გ.ნატრიშვილი. „ეკონომიკური უსაფრთხოების მიზნები, ფაქტორები და მაჩვენებლები". http://www.fes.ge/AxaliAzri/december2003/page2.htm

მაქსიმუმ 3%-ზე ნაკლები და მინიმუმ 15-დან 40%-მდე უნდა შეადგინოს);

7. ეროვნული ვალუტის სტაბილურობის უზრუნველყოფა (საგალუტო კურსის შემცირების საშუალო წლიურმა ტემპებმა აშშ დოლართან მიმართებაში მაქსიმუმ 0% და მინიმუმ 0-დან 5%-მდე უნდა შეადგინოს);[8]

8. იმპორტული საბაჟო მოსაკრებლების და გადასახადების შემცირება, მათ სრულ ლიკვიდაციამდე (ექსპორტზე და იმპორტზე გადასახადების საშუალო წლიურმა დონემ საგარეო ვაჭრობის ბრუნვასთან მაქსიმუმ 1%-ზე ნაკლები და მინიმუმ 3-დან 7%-მდე უნდა შეადგინოს).

როგორც ცნობილია, საბაზრო ეკონომიკის ამოსავალი პრინციპია კონკურენცია. ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოები საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებისა და მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციების საშუალებით, მონოპოლიზმისკენ ისწრაფვიან და ცდილობენ გააკონტროლონ მსოფლიო ბაზარი, მათზე მაქსიმალურად დამოკიდებული გახადონ სუსტი და ღარიბი ქვეყნები. ამ მხრივ განსაკუთრებით მიმზიდველია პოსტკომუნისტური სივრცე. საზოგადოების სულიერი დეგრადაცია, დამნაშავეობის ზრდა, ეთნოკონფლიქტები, კორუფცია და ა.შ. არა მხოლოდ არასწორი ეკონომიკური რეფორმების შედეგია, არამედ არამეგობრულად განწყობილი უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ძირგამომთხრელი საქმიანობისაც, რომლის მიზანი საქართველოს მართვად და ეკონომიკურად დასუსტებულ ტერიტორიად გადაქცევაა.

---

[8] В. Медведев. «Проблемы экономической безопасности» Вопроси экономики 1997 № 3

საერთაშორისო კრიმინალის შემოსვლას საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ხელი შეუწყო ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის მაღალმა მასშტაბებმა; ხელისუფლების კორუმპირებულობამ; ფორსირებულმა ლიბერალიზაციამ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საგარეო ეკონომიკური მოღვაწეობის კუთხით; შიდა და მსოფლიო ფასებს შორის სხვაობამ; არაკეთილსასურველმა სინეესტიციო კლიმატმა; არაეფექტურმა საგადასახადო პოლიტიკამ, მაღალმა საბაჟო და საგადასახადო ტარიფებმა; საბაჟო ორგანოების არასაკმარისმა ტექნიკურმა აღჭურვილობამ და კვალიფიციური კადრების სიმცირემ; საზღვრების დაუცველობამ და ა.შ.

შედეგად საქართველო გახდა მრავალი ქვეყნის სპეცსამსახურის დაინტერესების ობიექტი, რომლებიც ღია თუ ფარული საქმიანობით და ოპერატიულ–ტექნიკური შელწევით, ცდილობენ მოიპოვონ საჭირო ინფორმაცია, როგორც ოფიციალური სახელმწიფო მართვის სტრუქტურებიდან, ისე კერძო კომპანიებიდან, ბანკებიდან, სამრეწველო საწარმოებიდან და ზეწოლა მოახდინონ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ინტერპოლის განმარტებით, „ეკონომიკური დაზვერვა არის დაინტერესებულ ქვეყანაში ფასეულობის მქონე ინფორმაციის ნებისმიერი ხერხით მოპოვება, რომლის შედეგადაც მოცემული ქვეყნის ეკონომიკას შეიძლება მიადგეს ზარალი“. დაზვერვის ტრადიციული სახეებია: პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო დაზვერვა. ეკონომიკური ექსპანსიის მთავარი იარაღია ეკონომიკური შპიონაჟი. გამალებული კონკურენციის

ბრძოლის პირობებში, ეკონომიკური შპიონაჟის მთავარი მიზანია, კონკურენციული უპირატესობის მიღწევა. სხვის საიდუმლოებებზე ნადირობა კომპანიებს საშუალებას აძლევენ, მუდმივად იყვნენ საქმის კურსში კონკურენტების მოღვაწეობაზე, გამოიყენონ მათი სამეცნიერო–ტექნიკური მიღწევები და ა.შ.

გარე მიზეზებით გამოწვეული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მონოპოლიური უფლებაა. ამისთვის მას უნდა გააჩნდეს, მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული უშიშროების სტრუქტურები, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გამოვლენის დახვეწილი მეთოდებით.

ჩვენი აზრით, ეკონომიკის სფეროში უშიშროების ორგანოების უპირველესი მიზანი უნდა იყოს არა ბიუჯეტის შევსებაზე ზრუნვის საბაბით სავაჭრო ობიექტების პერმანენტული შემოწმებები, არამედ ზემოთ განხილული პრობლემების შესწავლა, ამ პროცესების შესახებ წინმსწრები ოპერატიული ინფორმაციის შეგროვება. არანაირი საფრთხე არაა იმაზე მწვავე, იმაზე აქტუალური დღევანდელი სახელმწიფოს საფუძვლებისთვის, ვიდრე სოციალური, ვინაიდან მშიერ ამბოხს, სოციალურ აჯანყებას წინ ვერავინ დაუდგება.

ქვეყნის უსაფრთხოების მიღწევისათვის საკმაოდ აქტუალურია თანამედროვე სავალუტო ოპერაციების შესახებ ნორმატიული ბაზის მოწესრიგება. დღეისათვის არამეწარმე ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე აწარმოონ მათ ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში რიცხული ფულადი სახსრების ნაღდად გამოტანა (იმისდა მიუხედავად, ნაღდი სახით იყო

თანხა შეტანილი თუ უნაღდო), რასაც მოსდევს იურიდიული პირების მიერ ფიზიკური პირების ანგარიშებზე თანხების "გადაქაჩვა" და ამ ფორმით ფულის "გაცოცხლება". არსებული ინფორმაციებით, ფულადი გზავნილებით ძირითადად ირიცხება ის თანხები, რომლებიც დაკავშირებულია აღურიცხავ საექსპორტო ოპერაციებთან. ამიტომ საჭიროა დაისვას საკითხი უცხოურ ვალუტაში ფულადი გზავნილების ლარებში გაცემის შესახებ. ამავე მიზეზის გამო და ლარის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად რეალურად გადაქცევისთვის სასურველია უცხოურ ვალუტაში კრედიტების გაცემის შეჩერება.

ფულად–საკრედიტო სისტემის მდგრადობის შენარჩუნებისათვის მეტად მნიშვნელოვანია კერძო ანგარიშებზე სავალუტო სახსრების მოძრაობის გარკვეული კონტროლი. უცხოეთის ბევრ ქვეყანაში კანონი ანგარიშის მფლობელს აძლევს იმის საშუალებას, რომ მისი ფინანსური საიდუმლო ბოლომდე დარჩეს კონფიდენციალური (სხვათა შორის, ანალოგიურ გარანტიას იძლევა "კერძო ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონიც – მე-17 მუხლი); მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ საბანკო ოპერაცია ეჭვს არ იწვევს, ანუ ფულიც და კლიენტიც "სუფთაა".

"კორუფციასთან ბრძოლის შესახებ", რუსეთის ფედერაციის კანონის თანახმად ბანკები ვალდებულნი არიან საგადასახადო ინსპექცია საქმის კურსში ჩააყენონ იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული ან ფიზიკური პირის ანგარიშზე 30 დღის განმავლობაში თანხის მოცულობამ მინიმალურ ხელფასს 200-ჯერ გადააჭარბა. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბანკი ჯარიმდება ან ჩამოერთმევა ლიცენზია. კანონით აკრძალულია ასევე კლიენტის ანკეტური მონაცემების გარეშე წარ-

მომდგენზე ანგარიშის წარმოება. ანალოგიური კანონი მოქმედებს აშშ-შიც. ანგარიშზე 10 000 აშშ დოლარზე მეტის ჩარიცხვის შემთხვევაში ბანკი ატყობინებს ამის შესახებ საგადასახადო სამსახურს, სოლო 100000 აშშ დოლარზე მეტის ჩარიცხვის შემთხვევაში — გამოძიების ფედერალურ ბიუროს. ამ შემთხვევაში საბანკო საიდუმლოს შესახებ კანონის დარღვევის ფაქტს სამართალდამცავთა მხრიდან ადგილი არა აქვს. ბანკი თვითონაა ვალდებული, რომ სპეცსამსახურს მიაწოდოს ინფორმაცია (წინააღმდეგ შემთხვევაში დაჯარიმდება). საეჭვო საბანკო ოპერაციად, მაგალითად, ლატვიაში შეიძლება ჩაითვალოს ახლადგახსნილი ფირმის ანგარიშზე დიდი ოდენობით ფულის გადმორიცხვა, ან ბანკიდან საეჭვო რეპუტაციის კლიენტის მიერ დიდი ოდენობით ფულის გატანა.

ისეთი პატარა და, ამავე დროს, მიმზიდველ გეოპოლიტიკურ გარემოში მყოფი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, აუცილებელია გონიერული ეკონომიკური დიპლომატიის გატარება, რომლის ფარგლებში ქვეყანამ უნდა აიღოს კურსი, როგორც მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში თავისი ოპტიმალური ადგილის მოსაძებნად, ასევე ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში საგარეო და საშინაო საფრთხეების ნიველირებისაკენ. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება მიიღწევა მხოლოდ დღევანდელი კრიზისული სიტუაციის სწრაფი დაძლევით, სტრუქტურული და ტექნოლოგიური ტრანსფორმაციით, მდგრადი განვითარების ტრაექტორიაზე გადასვლით.

<u>ფინანსური უსაფრთხოება.</u> სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული რისკი მდგომარეობს მისი ფინანსური უსაფრთხოების არასაკმარის უზრუნველყოფაში.

რისკ–ფაქტორების მიხედვით, პირობითად, იგი შეიძლება დაიყოს ორ საკვანძო ჯგუფად:

არასაკმარისი, მოსალოდნელზე ნაკლები შემოსავლების მიღება;

- ზედმეტი, სავარაუდოზე ჭარბი ხარჯების გაწევა.

ნებისმიერი კომერციული პროექტი, როგორც ცნობილია, ბაზრიდან იწყება. მეწარმე უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ მის მიერ შეთავაზებული პროდუქტი (საქონელი ან მომსახურება) მოცემულ ბაზარზე ნამდვილად სარგებლობს მოთხოვნით, რომ მოცემული ჯონის კონკურენციის პირობებში შესაძლებელია ამ ბაზრის გარკვეული სეგმენტის დაკავება, რომ სავარაუდო ფასით პროგნოზირებული გაყიდვების მოცულობა ჯამში უზრუნველყოფს მის მომგებიან საქმიანობას და ა.შ. ამ სფეროში შეცდომების ერთ-ერთი ძირითადი წყარო მდგომარეობს ყველა ამ პროგნოზების დაბალ სიზუსტეში, ან კონკურენტულობის დონის არასწორ შეფასებაში.

აღსანიშნავია, რომ ეს უზუსტობა შეიძლება გამომდინარეობდეს, როგორც შეფასების მეთოდოლოგიურ შეცდომაში, ისე რიგი გარე ფაქტორების ცვალებადობაში. მაგალითად, საკუთარი ან პარტნიორი ქვეყნის მაკროეკონომიკური (ინფლაცია, ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობის, უმუშევრობის, საკრედიტო განაკვეთების, მოგების მარჟის დონე და ა.შ.), სამართლებრივი (საკანონმდებლო ბაზის მოულოდნელი ცვლილებები), პოლიტიკური (საგარეო–პოლიტიკური ურთიერთობების შეცვლა), კვოტების და ნორმატივების (სტანდარტებისა და მოქმედი ნორმების შეცვლა) ფაქტორების შეცვლამ შეიძლება მყისიერად

შეცვალოს ამა თუ იმ სამეწარმეო საქმიანობის შემდგომი განხორციელების მიზანშეწონილობა.

ამგვარი მაგალითი საკმარისად მოიძებნება საქართველოს უახლეს ისტორიაში. მაგალითად: სულ ოციოდე წლის წინ სპეკულაცია და „ცეხავიკობა" სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენდა საკმაოდ მკაცრი სადამსჯელო სანქციებით, დღეს კი მას სამეწარმეო საქმიანობა ჰქვია და აქ მიღწეული წარმატებებისათვის სახელმწიფო სიგელებსა და ჯილდოებს არიგებს. კიდეე უფრო ცოტა ხნის წინ ქვეყანაში არსებულმა ჰიპერინფლაციამ და ეკონომიკური კავშირების გაწყვეტამ გამოიწვია ქვეყნის ეკონომიკის სტაგნაცია. მაღალი საკრედიტო განაკვეთებისა და რისკების დასაფარავად საჭირო იყო უაღრესად მაღალი მოგების ნორმის გამოყენება, მაგრამ მისი მომტანი საქმიანობის სახეობების რიცხვი ძალიან შეზღუდული იყო.

ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის მოულოდნელ შეცვლას მოჰყვა ადრე აკრძალულ სამეწარმეო საქმიანობაში მოღვაწე მოუმზადებელი ადამიანების მიერ დაგიროვებული ბინებით მიღებული შემოსავლისა და მთელი ცხოვრების განმავლობაში ნაგროვი ქონების კომერციალიზაცია, რამაც არახელსაყრელი გარემოს მაღალი რისკების პირობებში, მრავალ გაკოტრებულთა ფონზე, გამოიწვია პიროვნული და ოჯახური ტრაგედიის ეროვნული მასშტაბის ტალღა.

XX საუკუნის ბოლოს მეორე ასეთმა ტალღამ გადაუარა საქართველოს ჩვენს ერთ-ერთი უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ-ქვეყანაში, რუსეთში, მომხდარი ფინანსური შოკის ანარეკ-

ლის სახით. არანაკლები პრობლემები წარმოშვა ამ ქვეყნის მიერ საქართველოსთან მოულოდნელი საგიზო რეჟიმის შემოღებამაც.

ამგვარი რისკების მართვა სცილდება ცალკეული კომერციული სუბიექტების შესაძლებლობებს. ამდენად, ყოველი ცალკეული მეწარმის დონეზე აქ შეიძლება საუბარი არა ამ ფაქტორების მართვაზე, არამედ მათი შედეგების დროულად და წინასწარ გათვალისწინებაზე კონკრეტული მართვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეს კი მოითხოვს, თავის მხრივ, ამგვარი რისკების შესახებ სათანადო ხარისხისა და მოცულობის ინფორმაციის ფლობას, მოვლენათა განვითარების პროგნოზირებას, მათი უარყოფითი შედეგების შერბილებას, მაკომპენსირებელი ღონისძიებების გატარებას, სათანადო რეზერვების მოყვანას და ა.შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ფინანსური რისკების პირველი კომპონენტი (პროგნოზირებული შემოსავლების მიუღებლობა) უშუალოდ არის დაკავშირებული სამეწარმეო სუბიექტის მენეჯმენტის საქმიანობასთან. იგი არა მხოლოდ საკუთარი კომპანიის მიმდინარე პრობლემების გადაჭრისათვის უნდა ზრუნავდეს, არამედ ფლობდეს დეტალურ ინფორმაციას და მოვლენათა განვითარების პროგნოზებს მისი სამოქმედო

ყველა ასეთი ფაქტორის ამოქმედება, ხშირად ხდება, გარკვეული დროის მონაკვეთში, თანდათანობით. ამის გამო, ამ ჯგუფის რისკ–ფაქტორების გავლენისაგან დაცვის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს მოკლე საწარმოო ციკლის მქონე

პროდუქციის (მომსახურების) წარმოება, რომლის ხანგრძლივობა ნაკლებია ასეთი რისკ–ფაქტორების განვითარების დროის მონაკვეთთან შედარებით. ეს რეკომენდაცია, პირველ რიგში, გამიზნულია მცირე კომპანიებისათვის, რომელთა ადმინისტრაციული და სხვა რესურსები არასაკმარისია გარე ფინანსური რისკების სწორად შეფასებისათვის.

ფინანსური უსაფრთხოების რისკ-ფაქტორების მეორე ჯგუფი - დაგეგმილზე მეტი ხარჯების გაწევა, დაკავშირებულია საკუთარი კომპანიის შიდასაქმიანობის პროფესიულ დონეზე, ყოველი პროცედურისა და ეტაპის კარგ წარმოდგენაზე დროსა და სივრცეში, შესაძენი მასალების, ნედლეულის, შრომითი რესურსების პროგნოზირებულ ფასებზე და ა.შ. ამავე დროს, მარტო ეს ცოდნაც არ არის საკმარისი. საქმე იმაშია, რომ, ფაქტიურად, აქაც საქმე გვაქვს იგივე გარე ფაქტორების გავლენის გათვალისწინებასთან, ოღონდ, ამჯერად, არა საკუთარი პროდუქციის და მომსახურების, არამედ მოხმარებული მასალებისა და ნედლეულის ბაზრის მიმართ.

ფინანსური რისკების ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს სამეწარმეო სუბიექტის არალიკვიდურობის ან გადახდისუუნარობის ფაქტი. პირველი მათგანი არის ფინანსური ნაკადების არასწორად დაგეგმვის შედეგი, როდესაც დროის გარკვეულ მონაკვეთში საწარმოს აღარ გააჩნია ხარჯების დასაფარი ფინანსური სახსრები, თუმცა მისი აქტივები და დებიტორული დავალიანებები (მის წინაშე სხვა კომპანიების ვალები) გაცილებით მეტია მის ვალდებულებებზე (პასივებზე). არალიკვიდურობისაგან განსხვავებით გადახდისუუნარობა ნიშნავს კომპანიის ვალდე-

ბულებების სიჭარბეს მის აქტივებთან შედარებით, რაც, ფაქტიურად, მისი გაკოტრების ტოლფასია.

ორივე ეს სიტუაცია დაკავშირებულია სამეწარმეო სუბიექტის არაკვალიფიციურ ფინანსურ მენეჯმენტთან, როდესაც მისი საქმიანობის შემოსავალ-გასავლის დაგეგმვა და მიმდინარე წარმართვა ხდება არასაკმარისი პროფესიონალობით. ამის გათვალისწინებით, სამეწარმეო საქმიანობის პროცედურების ღრმა ცოდნასთან ერთად ფინანსური რისკების შემცირებისათვის შეიძლება იქნეს გამოყენებული კიდევ ორი ბერკეტი:

1. მომდევნო ფინანსური წლის ან პროექტის განხორციელების პერიოდის დეტალური დაგეგმვა (სათანადო ბიზნეს-გეგმის საფუძველზე);

2. მომდევნო ხარჯების განსაზღვრისას, როგორც წესი, გაუთვალისწინებელი ხარჯების სარეზერვო ფონდების გათვალისწინება;

3. რისკების ოფიციალური დაზღვევა სადაზღვევო კომპანიაში.

ამასთან ერთად, უაღრესად მნიშვნელოვანია სამეწარმეო საქმიანობის ფინანსური უსაფრთხოების მიმდინარე მონიტორინგის განხორციელება შესაბამისი ტენდენციების გამოვლენისა და, საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირების მიზნით.

ამისათვის ხშირად <u>ფინანსური კოეფიციენტების მეთოდი</u> გამოიყენება. მისი არსი მდგომარეობს სხვადასხვა საბუღალტრო მონაცემების შეფარდების განსაზღვრაში და მიღებული კუთრი სიდიდეების დინამიკის ანალიზში. თავად ამ კოეფიციენ-

ტების ნაირსახეობები პირობითად შეიძლება დაიყოს რამდენიმე ჯგუფად:

1. საქმიანი აქტივობის ამსახველი კოეფიციენტები აჩვენებენ აქტივების, ძირითადი, საკუთარი და საბრუნავი კაპიტალის, მარაგების, დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ბრუნვადობას დღეებში. ისინი იანგარიშება შესაბამისი საერთო მაჩვენებლების (რეალიზაცია, ცვალებადი ხარჯები, შესყიდვების მოცულობა და ა.შ.) გაყოფით სათანადო პარამეტრის (აქტივების, ძირითადი, საკუთარი, საბრუნავი კაპიტალი, მარაგების მოცულობა, დებიტორული და კრედიტორული დავალიანება) საშუალო სიდიდეებთან.

2. გადახდისუუნარობის და ლიკვიდურობის კოეფიციენტები ასახავენ სხვადასხვა სტრუქტურის კაპიტალის შეფარდებას ნასესხებ კაპიტალთან, მოკლევადიან ვალდებულებებთან, მთლიან აქტივებთან, ან პირიქით, ნასესხები კაპიტალის შეფარდებას აქტივებთან, საკუთარ კაპიტალთან. ერთ-ერთი ასეთი კოეფიციენტი განისაზღვრება როგორც საბალანსო მოგების შეფარდება სესხზე გადახდილ სარგებელთან და ა.შ.

3. რენტაბელობის ფინანსური კოეფიციენტების ჯგუფი ითვალისწინებს სხვადასხვა სახის რენტაბელობის (აქტივების, საბრუნავი კაპიტალის, რეალიზაციის, ბრუნვის) განსაზღვრას წმინდა მოგების (გადახდამდე ან გადახდის შემდეგ) სათანადო პარამეტრებთან შეფარდების სახით.

4. საფონდო მახასიათებლების კოეფიციენტები ითვალისწინებენ ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ ერთ აქციაზე მიღებულ დივიდენდს ან მოგებას.

5. გაკოტრების ალბათობის განსაზღვრის კოეფიციენტის (ალტმანის მეთოდი) რიცხვითი მნიშვნელობა იანგარიშება შესაბამისი რეგრესიული განტოლების გამოყენებით. ძისი ოდენობა იძლევა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მდგრადობის შესახებ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას.

ზემოხსენებული ფინანსური კოეფიციენტების რიცხვითი მნიშვნელობის შედარება სათანადო ზღვრულ ნორმირებულ სიდიდეებთან ან საბირჟო კოტირების საშუალო სიდიდეებთან ხშირად ეჭვემდებარება საკმაოდ ღრმა ანალიზისა და სათანადო დასკვნების გაკეთებას. სხვადასხვა დარგისათვის ამ კოეფიციენტების რიცხვითი მნიშვნელობა განსხვავდება, მაგრამ ყველა შემთხვევაში მათი ანალიზი და საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებთან შედარება დინამიკაში იძლევა ფინანსური უსაფრთხოების გაზრდისათვის და შეფასებისათვის კარგი რეკომენდაციების გამომუშავების შესაძლებლობას.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება გეოსტრატეგიული ნიშნის მიხედვით არის შემდეგი სახის:

<u>გლობალური</u> – გულისხმობს საერთაშორისო ეკონომიკური-და პოლიტიკური ურთიერთობების ისეთ სისტემას, რომლის დროსაც საერთაშორისო სამართლის ნორმებით დაცული იქნება მსოფლიოს ცალკეული სახელმწიფოების სუვერენიტეტი და მათ მიერ არჩეული ეკონომიკური განვითარების სტრატეგია;

<u>რეგიონალური</u> – ერთ კონკრეტულ რეგიონში არსებული ქვეყნების ეკონომიკური უსაფრთხოების კოლექტიური უზრუნველყოფა საერთო ეკონომიკური, პოლიტიკური და ა.შ. ინტერესების საფუძველზე;

კოლექტიური – რამდენიმე ტერიტორიულად დაშორებულ ქვეყანას შორის ურთიერთ თანამშრომლობა ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებში. კოლექტიური ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაჩინო მაგალითია ევროსტრუქტურების მოღვაწეობა;

ეროვნული – წარმოადგენს წინა სამი დონის საფუძველს.

გლობალური ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობა დღეისათვის განსაკუთრებით აქტუალურია, რადგანაც საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების მზარდმა ინტერნაციონალიზაციამ და შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავებამ მნიშვნელოვნად შეასუსტა ამ პროცესებში ჩართული ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური უსაფრთხოების დონე და მთელი რიგი თანმდევი ნეგატიური მოვლენები წარმოშვა.

ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ზემოქმედების ობიექტია ის კონკრეტული საფრთხე და მისი წარმომქმნელი (მაპროვოცირებელი) პრობლემები, რომლებიც უპირისპირდებიან ეროვნულ ინტერესებს და იცვლებიან სახელმწიფოს არსებობის და ეკონომიკური განვითარების კონკრეტული ისტორიული პერიოდიდან გამომდინარე.

რაც შეეხება რეგიონულ უსაფრთხოებას, იგი სამხრეთ კავკასიაში პოსტ–საბჭოთა საკითხებს შორის ერთ–ერთი ყველაზე ამოუწურავი და ინტენსიური განსჯის საგანი გახლავთ. პოლიტიკურმა კონფლიქტებმა, ეთნიკურმა შეტაკებებმა, სახელმწიფოთა შორის დაძაბულობამ, სოციალურმა პრობლემებმა და ეკონომიკურმა სირთულეებმა, რაც დაახლოებით თხუთმეტი წლის მანძილზე უმძიმეს ტვირთად აწევს რეგიონს, უდიდესი ყურადღება მიიპყრო როგორც პოლიტიკოსების,ისე მეცნიერებ-

ის მხრიდან. სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელ რეგიონად ჩამოყალიბება საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე იღებს სათაყვეს, როდესაც სამი ახლად შექმნილი სახელმწიფო – აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი – სსრკ-ის ნამსხვრევებიდან აღმოცენდა. რეგიონის შედარებით დიდი თუ სხვა ზესახელმწიფოების მზარდმა გაელენამ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები უფრო მეტად გამოაყო თავიანთი ყოფილი „ბატონის" – რუსეთისაგან. ამდენად, უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე, სამხრეთ კავკასია ცალკე ანალიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბდა, რომელიც, ერთის მხრივ, ყოფილი დომინანტი სახელმწიფოს – რუსეთის ფედერაციისაგან, ხოლო, მეორეს მხრივ, თავისი ისტორიული სამხრეთ მეზობლების – ირანისა და თურქეთისაგან განცალკევდა.

ნესბისმიერი სახის რეგიონული უსაფრთხოების სისტემის შექმნისას საქართველოს შემდეგი მიზნები გააჩნია:

- ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და შენარჩუნება;

  ახალ საკითხებთან გამკლავება, როგორიცაა ტერორიზმი, ნარკოტიკები და ტრეფიკინგი, ორგანიზებული დანაშაული;

  სტაბილურობა ევროპა–აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარებისათვის;

- სამხრეთ კავკასიაში დემოკრატიული ფასეულობების განვითარება და შენარჩუნება;

- რეგიონული თანამშრომლობის განვითარება და რეგიონული უსაფრთხოების გაერთიანების ფორმირება.[9]

ამრიგად, გლობალიზაციის პირობებში, მსოფლიო სამეურნეო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სწორედ ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიმართულმა სწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ მსოფლიოს მრავალი ღარიბი და სუსტად განვითარებული ქვეყნები ეკონომიკური ზრდის სარეკორდო მაჩვენებლებამდე მიიყვანა და მკვეთრად აამაღლა მოსახლეობის ცხოვრების დონე.

[9] რეგიონული უსაფრთხოების თანამეგობრობა გახლავთ საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმა, რომელსაც გარკვეულ გარემოებებში შეუძლია ინტეგრაციის გამოწვევა. უსაფრთხოების თანამეგობრობაში პოლიტიკური ელიტებს ერთმანეთს შორის მშვიდობის შენარჩუნების იმედი აქვთ აწმყოსა და მომავალში.

საქართველოს სოციალური უსაფრთხოება

სოციალური უსაფრთხოება გულისხმობს პიროვნების სოციალური ჯგუფისა და საზოგადოების სასიცოცხლოდ აუცილებელი ინტერესების, მათი სოციალური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. სოციალური უსაფრთხოების მუდმივი ობიექტებია: პიროვნება, მისი მოთხოვნილებები და ინტერესები, უფლება ცხოვრებაზე, შრომაზე, მის გარანტირებულ სოციალურ დაცვაზე სახელმწიფოს მხრიდან. სახელმწიფო სოციალური პოლიტიკით უნდა არეგულირებდეს ურთიერთობებს საზოგადოების ცალკეულ წევრებს შორის, რისი საფუძველიცაა ქვეყნის კონსტიტუციით განსაზღვრული მოქალაქის ზემოთჩამოთვლილი სოციალური უფლებები. ძირითადი სოციალური საშიშროებები შეიძლება გაერთიანდეს ჯგუფებში:

- პიროვნების სოციალური უფლებების დარღვევა და სახელმწიფოს მხრიდან მათი დაცვის შეუძლებლობა.
- სიღარიბე.

  მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესება.

  ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის დეგრადაცია, რისი შედეგიცაა მოსახლეობის სულიერი ნიჰილიზმი, იკარგება რწმენა ყველას და ყველაფრის მიმართ.

  განათლების, მეცნიერების, კულტურის სავალალო მდგომარეობა, სახელმწიფოს მიერ ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაში მათი როლის შეუფასებლობა.
- საზოგადოებრივი ცნობიერებით მანიპულირება.

  ძალადობის კულტისა და დამნაშავეობის ზრდა საზოგადოების სოციალურ ყოფაში. ქცევის ისეთი სტერეოტიპების

დამკვიდრება, რომლებიც მოსახლეობაში ვერ ქმნიან კეთილსინ-დისიერი შრომისა და სამართლიანი ცხოვრების პირობებს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტებმა ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იან წლებში დაადგინეს, რომ ადამიანის ჯანმ-რთელობა 50%-ით დამოკიდებულია მისი ცხოვრების წესზე და სოციალურ პირობებზე, 25%-ით გარემომცველი გარემოს მდგო-მარეობაზე, 20%-ით გენეტიკურ ფაქტორზე და მხოლოდ 8–10%-ით სამედიცინო მომსახურების დონეზე. გამომდინარე აქედან, სოციოლოგიური გამოკვლევების თანახმად, სახელმწიფოს პრესტიჟის მთავარი კრიტერიუმია არა სამხედრო სიძლიერე, არამედ მოქალაქეთა კეთილდღეობის მაღალი დონე და მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება.

საქართველოში არსებული კვაზისაბაზრო სოციალურ–ეკონომიკური მოდელით (მოჩვენებითი), შემოსავლების განაწ-ილება ხდება აშკარად უსამართლოდ. როგორც ძველი, ისე ახალშექმნილი ეროვნული სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწ-ილის მითვისება წარმოებს საზოგადოების პრივილეგირებული ნაწილის და მასთან დაახლოებული ვიწრო სოციალური წრის სასარგებლოდ. შედეგად, მოსახლეობის უმრავლესობა მოკლე-ბულია შესაძლებლობას თანაბრად ისარგებლოს ბუნებრივი და საზოგადოებრივი სიკეთეებით. ადგილი აქვს საზოგადოებ-ის მკვეთრ დიფერენციაციას. უსამართლო სოციალურ–ეკონომიკური მოდელი აძლიერებს მოსახლეობის მარგინალ-იზაციის პროცესს, შედეგად წარმოიშობა სოციალური პაუ-პერების (სოციალური ფსკერის) მდგრადი ფენა, რომელიც მოიცავს

მათხოვრებს, მდაბიოებს, მაწანწალებს, უპატრონო ბავშვებს, რომლებიც ეწევიან ცხოვრების ასოციალურ წესს.

ცხოვრების მძიმე პირობები იწვევს ადამიანისეული კაპიტალის გაუარესებას. იცვლება მოსახლეობის ყოფა, უკუღმართდება ეროვნული ტრადიციები, იწყება ძალადობის, ქურდობის კულტის მოძალება. განსაკუთრებით საგანგაშო ხასიათს იღებს ფსიქიკურ–ნერვული დარღვევები, რაც შეიმჩნევა მოსახლეობის 70–80%-ში. ამის მთავარი მიზეზია მასიური გაღატაკება. მიუხედავად ზემოაღწერილი მდგომარეობისა, 15 წლის განმავლობაში, მოსახლეობა მაინც განაგრძობს არსებობასა და ცხოვრებას. მაშ რაშია საქმე?

კრიზისულ სიტუაციებში შეიძლება ვისაუბროთ მოსახლეობის სამ სტრატეგიულ ქცევაზე. *პირველი* ხასიათდება სრული პასიურობით, ლოდინის პოზიციით, იმედით, რომ გამოსწორდება მდგომარეობა; *მეორე* გულისხმობს სოციალურ–ეკონომიკური ადაპტაციის სხვადასხვა ფორმებს – დამატებითი დასაქმება, არალეგალური საქმიანობა, კორუფცია; *მესამეა* მოქალაქეობრივი უფლებების დაცვა.

საქართველოში ცხოვრების დონის დაცემამ ბიძგი მისცა მთავრობას, რომ 2005 წლის იელისში ჩამოეყალიბებინა სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკა, რომლის ძირითადი პრიორიტეტებია:

1. სიღატაკისა და სოციალური გარყვნილობის დაძლევა, სიღარიბის შემცირება, ცხოვრების დონის გაუმჯობესება და ხელშეწყობა ძლიერი საშუალო ფენის ჩამოყალიბებისთვის.

2. უმუშევრობის შემცირება, ქვეყანაში, განსაკუთრებით კი რეგიონებში, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა და სოციალური მობილურობის გაზრდა.

3. განათლების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება; საყოველთაო დაწყებითი და საშუალო განათლების უზრუნველყოფა; უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესება და მისი მისადაგება საერთაშორისო სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებისადმი.

4. პენსიებისა და სოციალური დაცვის სისტემის რეფორმირება; სოციალური დახმარების პროგრამების მიზნობრიობის უზრუნველყოფა; საპენსიო და სხვა დავალიანების დაფარვის დასრულება.

5. ჯანდაცვის სისტემის რეფორმირება ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველსაყოფად; სოციალური დაზღვევის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება; ცხოვრების ჯანსაღი წესის და გარემოს დამკვიდრებისთვის ხელშეწყობა.

6. სოციალურად საშიშ დაავადებათა (ტუბერკულოზი, შიდსი, ნარკომანია) პრევენცია.[10]

ამ ეტაპზე საქართველოს ხელისუფლება ცდილობს გაატაროს სოციალური უსაფრთხოების აქტიური პოლიტიკა, რაც განათლების სისტემის ინტენსიურ რეფორმირებაში, სოციალური დახმარების პროგრამების რეალიზაციაში და სხვ. გამოიხატება.

---

[10] საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. 'სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკა". გვ.23, თბილისი 2005წ

კაციბრიობის ისტორია ყოველთვის იყო და რჩება ძალაუფლებისთვის ბრძოლის ასპარეზად. საზოგადოების შესვლამ განვითარების ინფორმაციულ სტადიაში, ძალაუფლების ტრანსფორმაცია გამოიწვია. ინფორმაციული უსაფრთხოება ნიშნავს ინფორმაციის დაცულობას და მისი ინფრასტრუქტურის შენარჩუნებას შემთხვევითი ან მიზანმიმართული ზემოქმედებისგან, რომლის შედეგადაც მას შეიძლება მიადგეს ზარალი. ინფორმაციულ უსაფრთხოებაში შეიძლება გამოიყოს შემდეგი დონეები: გლობალური ინფორმაციული უსაფრთხოება; სახელმწიფო ინფორმაციული უსაფრთხოება; ცალკეული ორგანიზაციის ინფორმაციული უსაფრთხოება და პიროვნების ინფორმაციული უსაფრთხოება.

ინფორმაციის ფლობა სიტუაციაში სწორი ორიენტაციის, მოქმედებების დაგეგმვის, საჭიროების დროს ცალკეული ხალხისა და ჯგუფების მანიპულაციის საშუალებას იძლევა. ინფორმაციაზე მოთხოვნილებისას უნდა გაირკვეს, რისი გაგებაა საჭირო; როგორი სახის შეიძლება იყოს სასურველი ინფორმაცია; ვინ შეიძლება ფლობდეს მას; როგორ შეიძლება მისი მოპოვება? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა შესაძლებელია არსებული გარემოს სწორი ანალიზით, ცოდნით, უნარით, ნებისყოფით, გამოცდილებითა და გამომგონებლობით.

თანამედროვე პირობებში ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, დამუშავებისა და გადაცემის ყველაზე მისაღები საშუალებაა კომპიუტერული სისტემები, ინტერნეტი. კომპიუტერული პროგრამებით შეიძლება ძალზე ღირებული კომერციული

(კონფიდენციალური) ინფორმაციის მოპოვება, რომლის გამოყენება შეიძლება სხვადასხვა მიზნით, მათ შორის, კონკურენტებისა და პარტნიორების შესახებ მონაცემების შეგროვებისას. ინფორმაციის მიღების მნიშვნელოვანი წყაროა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომელიც საზოგადოებრივ ტრანსფორმაციაში პოლიტიკური ინსტიტუტის როლს თამაშობს.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ინფორმაციული რესურსი ეროვნული რესურსის 50–60%-ს შეადგენს. ამიტომ ინფორმაციული უსაფრთხოება არის ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელი მნიშვნელოვანი ელემენტი. თანამედროვე ბიზნესი წარმოუდგენელია ინფორმაციის მიღების, შენახვის, დამუშავებისა და გამოყენების გარეშე. წარმატებისთვის მნიშვნელოვანია ხარისხიანი, ფასეული ინფორმაციის ფლობა. ამიტომაა, რომ ღირებული ინფორმაცია გასაიდუმლოებულია. თუმცა, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, იდეალური, შეუვალი სისტემები, რომლებიც გარანტიას იძლევიან კონფიდენციალური ინფორმაციის 100%-იან დაცვაზე, არ არსებობს. არის ინფორმაციის მიღების უამრავი საშუალება, ასე მაგალითად, ამერიკული ჟურნალის „Chemical engineer"-ის მიხედვით ცნობილია ინფორმაციის მიღების 16 წყარო:

1. ინფორმაციის შეგროვება მასმედიის საშუალებებით – ტელევიზია და პერიოდული ჟურნალ–გაზეთები.

2. კონკურენტი ფირმების მიერ გაერცელებული ინფორმაცია.

3. საბირჟო და მარკეტინგული დოკუმენტაცია, კონკურენტების საგამოფენო ექსპონატები და გამოცემული ბროშურები.

4. კონკურენტი ფირმის პროდუქციის შესწავლა, მათ თანამშრომლებთან გასაუბრება (მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის გარეშე).

5. შეფარვითი გამოკითხვები, ინფორმაციის „გამოტყუება" კონკურენტი ფირმის თანამშრომლებისგან სხვადასხვა სამეცნიერო–ტექნიკურ კონფერენციებზე, კონგრესებზე და სიმპოზიუმებზე.

6. ფარული დაკვირვება.

7. კონკურენტი ფირმის თანამშრომლებთან (სხვადასხვა საბაბით) გასაუბრება.

8. ცრუ მოლაპარაკებები კონკურენტ ფირმასთან, მაგალითად: ლიცენზიის შეძენის ან ხელშეკრულების დადების თაობაზე.

9. კონკურენტი ფირმის თანამშრომლის სამსახურში აყვანა (უკეთესი პირობებით) საჭირო ინფორმაციის მიღების მიზნით.

10. კონკურენტი ფირმის თანამშრომლის მოსყიდვა.

11. ინფორმაციის მისაღებად კონფიდენტის გამოყენება (კონკურენტ ფირმაში).

12. კონკურენტ ფირმასთან წარმოებული მოლაპარაკებების ფარული მიყურადება.

13. სატელეფონო საუბრების მოსმენა.

14. სატელეგრაფო გზავნილების დაჭერა.

15. დოკუმენტაციის, ნახაზების, ნიმუშების მოპოვება.

16. შანტაჟი და გამოძალვა.

ინფორმაციაზე და ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე მუშაობისას საჭიროა მუდმივი ანალიზი, რომლის დროსაც უნდა

დადგინდეს, თუ რომელი ინფორმაცია საჭიროებს დაცვას. როგორია მისი ფასეულობა. რომელი ნაწილია უფრო მნიშვნელოვანი, რა ჯდება დაცვა. როგორია კომერციული ინფორმაციის სიცოცხლის ხანგრძლივობა, რათა არ მოხდეს მნიშვნელოვანი დანაკარგი და სხვა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველომ უნდა გააცნობიეროს, რომ სახელმწიფოს ეფექტიანი მართვისთვის აუცილებელია ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის არსებობა და გადაწყვეტილებების მიღების სისტემის დაფუძნება სანდო ინფორმაციაზე. სახელმწიფოებრივი პოზიციის თანმიმდევრულად და დამაჯერებლად წარმოდგენა როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ასპარეზზე, ნებისმიერი ქვეყნის უსაფრთხოების სისტემის ერთ–ერთი უმთავრესი ელემენტია. საქართველომ სერიოზული ყურადღება უნდა დაუთმოს საიდუმლო ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოების მარეგულირებელი კანონმდებლობის და სახელმწიფოს კრიტიკული საინფორმაციო სისტემების დაცვის საკითხებს. საგანგებო სიტუაციების დროს სანდო და დაცული ინფორმაციის ფლობა აუცილებელი წინაპირობაა კრიზისების ეფექტიანი პრევენციისა და მართვისთვის.

საქართველომ უნდა შექმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და ინფრასტრუქტურა, რომელიც აუცილებელია საინფორმაციო ტექნოლოგიების გასაუმჯობესებლად და ინფორმაციის დაცულობის უზრუნველსაყოფად.

სპეციალური დანიშნულების სამსახურების როლი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში

ეროვნული (სახელმწიფო) უსაფრთხოების დაცვის ზოგადსახელმწიფოებრივ ღონისძიებათა სისტემაში, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, სამხედრო, საინფორმაციო და მრავალ სხვა ასპექტს მოიცავს, სპეციალურ სამსახურებს სპეციფიკური და განსაკუთრებული როლი ეკისრებათ.

სპეცსამსახურების დანიშნულებაა პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, მის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების, მათთან დაკავშირებული ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების მხრიდან მართლსაწინააღმდეგო (სადაზვერვო–ძირგამომთხრელი) ქმედებების გამოვლენას, თავიდან აცილებასა და აღკვეთას.

ამ ამოცანის შესასრულებლად სპეცსამსახურები იყენებენ სპეციფიკურ ძალებს, საშუალებებს, ხერხებსა და მეთოდებს, რაც არსებითად განასხვავებს მათ სხვა სახელმწიფო, მათ შორის სამართალდამცავი ორგანოებისაგან.

თანამედროვე ეტაპზე ჯარის, ტანკებისა და გემების რიცხვის, მათი გადანაცვლების ცოდნა დაინტერესებული მხარისათვის საინტერესო აღარ არის. ამჟამად ყურადღებას იპყრობს იარაღის ახალი სახეობანი, თუმცა ისინი შეიძლება გამოუყენებელი დარჩნენ მრავალი წლის განმავლობაში, აგრეთვე ბრძოლა სტრატეგიული ბაზრებისათვის და განსაკუთრებით პოლიტიკური გავლენის სფეროებისათვის. სამხედრო–სტრატეგიული და ეკონომიკური დაზვერვა ერთმანეთში უფრო მჭიდროდ იხლართება მშვიდობიანობის პერიოდში, ვიდრე ომის დროს.

ბრძოლა მომავალი ბაზრებისათვის და ისეთ მნიშვნელოვან რესურსებზე კონტროლისათვის, როგორიც არის ნავთობი და ურანი, აუცილებლად დაკავშირებულია ჯაშუშობასთან. პოლიტიკური ინტრიგები მსოფლიოს ყველა კუთხეში, სადაც კი კონფლიქტები წარმოიშვება, წარმოადგენს კიდევ ერთ ობიექტს ძლიერ სახელმწიფოთა სადაზვერვო ორგანიზაციებისათვის. თანამედროვე ჯაშუშობის საქმიანობის ასპარეზად იქცა პოსტსაბჭოთა სივრცე, მათ შორის კავკასია და აქედან გამომდინარე საქართველო.

ყველა ქვეყნის ჯაშუშებს იზიდავს დიპლომატიური კონფერენციები. აი, რატომ არის უშიშროების ორგანოთა და კონტრდაზვერვის მთელი ყურადღება მიპყრობილი ცნობათა „გაჟონვის" თავიდან აცილებაზე, რამაც შეიძლება ახალ სერიოზულ საერთაშორისო გართულებამდე მიგვიყვანოს. ფარული აგენტების მიერ აღმოჩენილმა ინფორმაციამ შეიძლება განაპირობოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მიმართულება. შესაძლებელია მასზე იყოს დამოკიდებული სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა. სახელმწიფო მოღვაწის „სიმტკიცე" ან მზადყოფნა კომპრომისებისათვის საერთაშორისო კონფერენციებზე ან გაეროს უშიშროების საბჭოში, ეკონომიკური შეთანხმება ან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა შეიძლება ფარული აგენტების მიერ წარმოდგენილ ცნობებზე იყოს დამოკიდებული."

ეს აღიარება, შესაძლოა, ეთაკილებოდეს იდეალისტს, რომელსაც სწამს ახალი, მშვენიერი სამყაროსი, სადაც ადამიანები

" ე.ეკეკრიჯი. „ინგლისის საიდუმლო სამსახურის საიდუმლოებანი". თავი XX, ჯაშუშებისათვის ომი არ მთავრდება, ეე 258. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო". თბილისი 1968წ.

ძმურად იცხოვრებენ, ყველა ხალხი ერთმანეთთან მეგობრულად იქნება, სამყარო, რომელსაც არ ეცოდინება რა არის ომი, ძალის პოლიტიკა და ეკონომიკური კონკურენცია ერებს შორის. მაკრამ, ამ მოუწყობელ სამყაროში და მათ შორის საქართველოშიც, ჯერ კიდევ შორსა ვართ საყოველთაო მეგობრობისა და ურთიერთგაგებისაგან და მაღალფარდოვანი სიტყვები „მშვიდობა და კეთილგანწყობილება ყველა ხალხის მიმართ" – ირონიის მომგვრელია.

სპეცსამსახურები სახელმწიფო ინტერესების დაცვას უზრუნველყოფენ კანონით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში. სპეცსამსახურებმა თავიანთი ძირითადი ძალისხმევის კონცენტრაცია უნდა მოახდინონ სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის გარე ასპექტებზე, იმოქმედონ სპეციალური, მათ შორის, არასაჯარო ფორმებითა და მეთოდებით. სპეცსამსახურების საქმიანობის ძირითად არსს ოპერატიული მონაცემების მოპოვება, მათი დამუშავება და ანალიზი წარმოადგენს. ამის საფუძველზე უნდა მოხდეს სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებისათვის ყოველგვარი საფრთხის შესახებ სარწმუნო, სრულყოფილი ინფორმაციით ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა.

საქართველოს სპეცსამსახურის მუშაობის ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს სისტემა ფუნდამენტალურ გარდაქმნას მოითხოვს. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩასატარებელი ცვლილებები იმდენად სერიოზულია, რომ ფაქტობრივად, დღევანდელი სამინისტროს ნაცვლად სრულიად ახალ პრინციპებზე აგებული სპეცსამსახურია შესაქმნელი – ახალი ში-

ნაარსით, სტრუქტურითა და ფორმით, ოპტიმალური რაოდენობის მაღალი კვალიფიკაციის საკადრო შემადგენლობით. ამგვარი გარდაქმნა ქვეყნის უშიშროებისა და სამართალდაცვის ერთიანი სისტემის ინსტიტუციური რეფორმის ფარგლებში უნდა განხორციელდეს. შესაბამისად, რეფორმირებულ სპეცსამსახურს, ქვეყნის უშიშროების უსრუნველყოფის ამ ზოგადსახელმწიფოებრივ სისტემაში, უნდა განესაზღვროს ადეკვატური როლი და დაეკისროს შესაბამისი ფუნქციები, უნდა მოხდეს მისთვის სპეციალური სამართლებრივი სტატუსის მინიჭება და სხვა სამართალდამცავი ორგანოების ფუნქციებისაგან მისი ფუნქციების მკვეთრი გამიჯვნა, შეიქმნას სპეცსამსახურის თანამშრომლებისათვის კვალიფიცირებული და ეფექტური შრომისა და ღირსეული ცხოვრების პირობები, გათვალისწინებულ იქნას წარსულის გამოცდილება და დაინერგოს მემკვიდრეობითობა.

სპეცსამსახურის საქმიანობა ძირითადად მიმართული, როგორც ზემოთ აღინიშნა, უნდა იყოს სახელმწიფო უშიშროების გარე ასპექტებზე, ანუ, უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების და ცალკეული ორგანიზაციების მართლსაწინააღმდეგო (სადაზვერვო–ძირგამომთხრელ) საქმიანობაზე და მათ მიერ საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, სამხედრო-პოლიტიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური პოტენციალის, კონსტიტუციური წყობილების, პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის წინააღმდეგ მიმართულ კონკრეტულ ქმედებებზე.

საქართველოს უშიშროების სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია დაზვერვითი და კონტრდაზვერვითი საქმი-

ახობა (მათ შორის სამხედრო სფეროში) და იმ დანაშაულებებთან ბრძოლა. რიცხლებიც კანონმდებლობით უშიშროების სამსახურის ექვემდებარება. ამასთან ერთად, საქართველოს სპეცსამსახურის ყურადღების სფერო მოიცავს ისეთ მართლსაწინააღმდეგო ქმედებების კვლევას, როგორიც არის ექსტრემისტული ჯგუფების საქმიანობა, სეპარატიზმი, საერთაშორისო ნარკობიზნესი და საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის სხვა ფორმები. ამ მიმართულებით სპეცსამსახურის კომპეტენცია უნდა განისაზღვროს შესაბამისი ინფორმაციის მოპოვებით, მისი ანალიზით და ქვეყნის ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების ინფორმირებით. ამ საკითხებში, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე, სპეცსამსახური თანამშრომლობს სხვა ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან.

სპეცსამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურის განსაზღვრა სწორედ ზემოაღნიშნული მიმართულებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. მისი ოპერატიული ძალების და საშუალებათა რაოდენობა, სხვადასხვა მიმართულებით მათი კონცენტრაცია დამოკიდებული იქნება ტაქტიკურ და სტრატეგიულ კონკრეტულ სიტუაციაში და დროში დასმულ პრიორიტეტებზე, ამაზეა აგრეთვე დამოკიდებული სპეცსამსახურის ფინანსური და მატერიალურტექნიკური უზრუნველყოფაც.

სპეცსამსახურის საქმიანობა უნდა ემყარებოდეს აუცილებლობის და საკმარისობის პრინციპს. სამსახური უნდა იყოს მობილური, კომპაქტური, მატერიალურად უზრუნველყოფილი, ტექნიკურად აღჭურვილი, ორგანიზაციულად მოქნილი და ადვილად სამართავი.

სპეცსამსახურის ტერიტორიული სტრუქტურების ორგანიზაციული მოწყობის ფორმები უნდა განისაზღვროს რეგიონში ოპერატიულად ვითარების ანალიზის საფუძველზე. იგივე პრინციპს უნდა დაეფუძნოს ყოველ რეგიონში სპეცსამსახურის, როგორც ცენტრალური სტრუქტურის ნაწილის, მუშაობის პრიორიტეტული მიმართულებები და გადასაწყვეტი ამოცანები. შესაბამისად, უნდა განისაზღვროს ცალკეული რეგიონული ორგანოსათვის საჭირო საშტატო და მატერიალური რესურსები.

სპეცსამსახურის საქმიანობის მთავარი პრინციპია ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, სისტემატიზაცია და ანალიზი, გადაწყვეტილების გამომუშავება და მისი რეალიზაცია. ეს არის უწყვეტი პროცესი. აქედან გამომდინარე, რაციონალურად წარმართული ანალიტიკური მუშაობა სპეცსამსახურების ეფექტურობის ძირითადი პირობაა. სპეცსამსახურში საქმიანობის დაგეგმვა და კოორდინაცია, ხელმძღვანელობის მიერ მნიშვნელოვანი მართვითი გადაწყვეტილების მიღება ასევე ცენტრალური ანალიტიკური სტრუქტურის მიერ გამომუშავებულ წინადადებებს უნდა ეფუძნებოდეს, რაც სუბიექტური ფაქტორის როლის მინიმუმამდე დაყვანის უცილობელი პირობაა.

სპეცსამსახურის სახეს და საქმიანობის ეფექტურობას განსაზღვრავს მისი ოპერატიული შემადგენლობა (ოპერატიული, ანალიტიკური და საინჟინრო–ტექნიკური მუშაკები). ამდენად, რეფორმის წარმატების ერთ–ერთ მთავარ პირობას სპეცსამსახურის საკადრო უზრუნველყოფის სისტემის ძირეული გარდაქმნა წარმოადგენს. სპეცსამსახური გამორჩეულ. ელიტარულ ორგა-

ნოდ უნდა გადაიქცეს, სადაც მაღალი ინტელექტის და ზნეობრივი პრინციპების მქონე ქვეყნის პატრიოტები იმუშაევებენ. ამ ნიშნით უნდა მოსდეს სპეცსამსახურში მისაღები კანდიდატების შერჩევა, შესწავლა–შემოწმება.

ზემოაღნიშნული ორგანიზაციულ–საკადრო და სხვა ღონისძიებები რეალურ აზრს შეიძენენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რადიკალურად შეიცვლება სპეცსამსახურის დაფინანსების და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემა. არსებული მდგომარეობის ანალიზი ცხადყოფს, რომ პრობლემას ქმნის არა იმდენად ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების სიმცირე, არამედ დაფინანსების პრინციპების დაუხვეწაობა. კერძოდ, ამოსავალ წერტილად აღებულია სამსახურის საშტატო შემადგენლობა და არა კონფიდენციალური საქმიანობის დაფინანსება და იპერატიულ–სამძებრო საქმიანობისათვის აუცილებელი სპეციალური საშუალებები; არ არის გათვალისწინებული სახელმწიფოს მიერ დასმული ამოცანების პრიორიტეტულობა, არ იგრძნობა, რომ ფინანსდება ცალკეული მოკლე და გრძელვადიანი პროგრამები. ყველა ამგვარ სირთულეს, კონკრეტული მიმართულებების მიზნობრივ პროგრამული დაფინანსება მნიშვნელოვნად შეარბილებს.

რაციონალურად ჩამოყალიბებული სპეცსამსახურის შემთხვევაში, ბიუჯეტით გათვალისწინებული მინიმალური დაფინანსებაც კი საკმარისი იქნება მცირერიცხოვანი, მობილური სპეცსამსახურის ეფექტური ფუნქციონირებისათვის. ამასთან, თანამშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფა უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- სამსახურის ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ისეთი შრომის ანაზღაურებით, რომელიც ჩვენი ქვეყნის პირობებში მისცემს მას ღირსეული არსებობის შესაძლებლობას, საფუძველს გამოაცლის კორუფციულ ურთიერთობებს სამსახურში. ამ ეტაპზე, თანამშრომელთა ოპტიმალური რა-ოდენობის დადგენის შემთხვევაში, მათი საშუალო ხელფასი 1000–1500 ლარის ფარგლებში უნდა მერყეობდეს.
- თანამშრომელთა ხელფასი დამოკიდებული უნდა იყოს მათ კვალიფიკაციაზე, პროფესიონალიზმზე, მუშაობის სტაჟსა და შედეგებზე. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მაღალი დონის ანალიტიკოსებს, პროფესიონალებს, რომლებიც მნიშვნელოვან ოპერატიული აღრიცხვის საქმეებზე მუშაობენ, ასევე იმ თანამშრომლებს, რომლებსაც უწევთ სპეციფიური, მაღალ რისკთან დაკავშირებული დავალებების შესრულება.

ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშვნა არ უნდა იქცეს თანამშრომლის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მთავარ ან ერთადერთ საშუალებად. სპეცსამსახურში, ყველა დონის ხელმძღვანელი, პირველი პირის გარდა, უნდა ინიშნებოდეს კონკურსის საფუძველზე და აკმაყოფილებდეს ყოველი თანამდებობისათვის განსაზღვრულ, შესაბამის კრიტერიუმებს. ასეთია განვითარებული დემოკრატიის სახელმწიფოების პრაქტიკა.

მნიშვნელოვანია თანამშრომელთა რანგირების თანამედროვე სისტემის, როგორც მათი მატერიალური და მორალური სტიმულირების ძირითადი საფუძვლის დანერგვა. კერძოდ, სპეცსამსახურის ანალიტიკური, ოპერატიული და საინჟინრო-ტექნიკური

დანაყოფების თითოეულ თანამშრომელს, ხელმძღვანელობის ჩათვლით, მინიჭებული ექნება რანგი, რომელიც ითვალისწინებს მის განათლებას, პროფესიონალიზმს, გამოცდილებას და მუშაობის სტაჟს. თანამშრომლის მატერიალურ ანაზღაურებას ძირითადად უნდა განსაზღვრავდეს მისი რანგი და შემდგომ დაკავებული თანამდებობა. რანგის ყოველი მომატება უნდა მოხდეს სპეციალური კომისიის მიერ. თითოეულ კონკრეტულ თანამდებობას უნდა შეესაბამებოდეს რანგის აუცილებელი მინიმუმი. რანგირების შემოღების შემთხვევაში, თითოეულ თანამშრომელს საშუალება ექნება მიიღოს მეტი მატერიალური ანაზღაურება ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშვნის გარეშეც. აღნიშნული სისტემის რეალიზება ხელს შეუწყობს თანამშრომლების პროფესიული დონის ამაღლებას, მათ სპეციალიზაციას, ოპერატიული შემადგენლობის სტაბილურობას, საფუძველს გამოაცლის კარიერიზმის არაჯანსაღ ფორმებს, პროტექციონიზმს, კორუფციულ ურთიერთობებს და შიდაუწყებრივ ინტრიგებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ შორეულ მომავალშიც კი, როცა მოხდება ყველა ქვეყნის სამხედრო და ეკონომიკური მონაცემების საჯაროდ გამოქვეყნება, საერთაშორისო შეთანხმებანი შესრულდება საქმით და არა ფორმალურად, ჯაშუშობა კვლავ დარჩება ერთ–ერთ ყველაზე არსებითი მნიშვნელობის ღონისძიებად, რომელიც დაკავშირებული იქნება ქვეყნების უშიშროების შენარჩუნებასთან, როგორი მშვიდობისმოყვარეულიც არ უნდა იყვნენ ისინი. ატომის ხანაში შეუძლებელია სახელმწიფოს არ ჰქონდეს ცნობები სხვა სახელმწიფოების შესახებ. ყოველი მათგანი უნდა იღებდეს ზომებს,

რომ საკუთარი მნიშვნელოვანი საიდუმლოებები არ მოხვდეს სხვა სახელმწიფოების მთავრობათა ხელში.

საქართველო თავისი განვითარების ამ ისტორიულ ეტაპზე დამოკიდებულია ენერგიის საგარეო წყაროებზე. იმპორტის უმთავრეს საგანს წარმოადგენენ ენერგორესურსები. აუცილებელია შემუშავდეს ენერგეტიკული უსაფრთხოების გეგმა, რომელიც მიზნად დაისახავს ქვეყნის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას. ვიდრე საქართველო ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას მიაღწევს, საწვავ-სათბობისა და ელექტროენერგიის იმპორტი მწვავე დეფიციტს ვერ აღმოფხვრის, ის ძირს გამოუთხრის ეკონომიკურ აქტივობას და მაკრო-ეკონომიკურ წნეხებს შექმნის. ენერგოდეფიციტი, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში თრგუნავს მოსახლეობას.

ენერგეტიკის სექტორის ფისკალური კრიზისი გადასახადის აკრეფის დაბალი მაჩვენებლების შედეგია. დენის აღურიცხავად მოხმარების გარდა, მრიცხველთა უმეტესობა მოძველებულია, მაოი მესამედი დეფექტიანია, ერთი მერვედი კი განადგურებული.[12] აღურიცხავი მოხმარება განპირობებულია როგორც გაუარესებული შემოსავლებით, სოციალურად დაუცველი ოჯახების მიერ გადაუხდელობით, ასევე უმნიშვნელო სუბსიდიებით, რომელსაც ღებულობენ პენსიონერები და იძულებით გადაადგილებული პირები.

ცენტრალური ხელისუფლების ელექტროგამანაწილებელი სისტემა თავისი რესურსების 20-25%-ით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს უზრუნველყოფს, ის სანაცვლოდ არანაირ კომპენსაციას

[12] World Bank Technical Paper No. 423: "Non-Payment in the Electricity Sector in Eastern Europe and the former Soviet Union".

არ იღებს.[13] ფინანსური კრიზისი ხელს უწყობს მოუწესრიგებელ ენერგომომარაგებას და ჯანმრთელობის პრობლემებს, რაც გამოწვეულია წყალსაკანალიზაციო მოწყობილობების გაუმართაობით. გაზის სექტორში მომარაგების მოშლა ამძაფრებს ელექტროენერგიის დეფიციტს, ოჯახებს აიძულებს, საჭმლის მოსამზადებლად თუ ბინების გასათბობად ნაკლებადეფექტური ელექტროხელსაწყოები გამოიყენონ.

საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი. თუმცა ამჟამად მისი მხოლოდ 10% გამოიყენება. ყველაზე დრამატული მაგალითია ენგურის 1300 მეგავატიანი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც გადაუდებელ რეაბილიტაციას საჭიროებს. აუცილებელია ასევე ელექტროგადამცემი ქსელის შეკეთება. მოხმარების ცენტრების უმეტესობა აღმოსავლეთშია, გენერაციისა კი დასავლეთში. არსებობს მხოლოდ ერთი გადამცემი მაგისტრალი, რის გამოც პიკური მოთხოვნილების პერიოდებში გადატვირთულია და სისტემის არასტაბილურ მუშაობას იწვევს.

ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობისთვის აუცილებელია ენერგიის გენერაციისა და იმპორტის წყაროთა დივერსიფიცირება, ენერგეტიკული ეფექტურობის გაზრდის ხელშეწყობა. ინვესტიციების მოსაზიდად აუცილებელია ხელსაყრელი პირობების შექმნა, ენერგეტიკის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და ევროპულ ენერგეტიკულ პროექტებში აქტიური მონაწილეობა.

საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით, საკვანძო ენერგეტიკული და სატრანსპორტო დერეფნების ნაწილია,

[13] Georgia's National Energy Regulatory Commission. 2002. Annual Report

რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოებისათვის. ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის შესაძლო ენერგეტიკული დერეფნების პოტენციალის ეფექტურ გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამასთან, საქართველოს დამოკიდებულება ენერგიის მოწოდების ძირითადად ერთ წყაროზე უცხო სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკური ზეწოლის ბერკეტების გამოყენების საშუალებას იძლევა, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. აქედან გამომდინარე, ქვეყნის დიპლომატიის ვალია საქართველოს ენერგეტიკული დერეფნის ფუნქციის სრულად რეალიზაციის ხელშეწყობა და ენერგომომარაგების დივერსიფიკაციის გზით ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამ თვალსაზრისით ძირითადი ამოცანებია:

1) ევრო-ატლანტიკური ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების დინამიკისა და ენერგორესურსებზე მზარდი მოთხოვნის ფონზე, მიუღებელია ნებისმიერი სახის მონოპოლია ენერგომატარებლების მოპოვებასა თუ ტრანზიტზე. ენერგეტიკის სფეროში სახიფათო დამოკიდებულების დაძლევის, ევროპის, ცენტრალური აზიის და კასპიურ ენერგომატარებლებზე არსებული მონოპოლიისა და პოლიტიკურად მოტივირებული მანიპულაციების აღკვეთის მიზნით, საქაროველო აქტიურად ითანამშრომლებს ახალი *ევრო-ატლანტიკური ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგიის* შემუშავების პროცესში. აღნიშნული სტრატეგიის კონცეპტუალურ საფუძველს წარმოადგენს ენერგორესურსების მწარმოებელი, სატრანზიტო და მომხმარებელი ქვეყნების ინტერესთა ბალან-

სი. შესაბამისად, ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი ამოცანებია:

ევრო-ატლანტიკური ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების პროცესში აქტიური თანამშრომლობა რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე;

- ევროპულ ენერგეტიკულ პროექტებში აქტიური მონაწილეობის მისაღებად ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაძლიერება;

- ევროკავშირთან თანამშრომლობა ევროკომისიის დოკუმენტის – *„მწვანე წიგნი: ენერგორესურსების მიწოდების უსაფრთხოების ევროპული სტრატეგიის შესახებ“* პრინციპების შესაბამისად;

- ნატოს ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს (EAPC) ეკონომიკური კომიტეტის ფარგლებში ენერგეტიკული უსაფრთხოების თემის გააქტიურების ხელშეწყობა;

დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია - სუამ-ის და რეგიონის სხვა ქვეყნებთან ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება;

- BSEC-ის ფარგლებში ენერგეტიკულ საკითხებზე შექმნილ სამუშაო ჯგუფში საქმიანობის გააქტიურება.

2) ახალი ენერგოდერეფნების ამოქმედება.

ზემოაღნიშნული სტრატეგიიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ენერგეტიკის სფეროში შემდგომი თანამშრომლობის ხელშეწყობა ახალი ალტერნატიული ენერგოპროექტების და ენერგორესურსების ტრანსპორტირების მარშრუტების განვითარებისათვის. ამ მიმართულებით, ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი შესაძლო ენერგეტიკული დერეფნების პოტენციალის წარმოსაჩენად აუცილებელი მოქმედებების დასახვა;

- ცენტრალური აზიისა და კასპიური ენერგორესურსების ევროპულ ბაზარზე მიწოდების მიზნით ტრანს-კასპიური გაზსადენების სისტემის ჩამოყალიბებისათვის თანამშრომლობის გაღრმავება;

- სტრატეგიულ პარტნიორებთან თანამშრომლობა ტრანს-კასპიური გაზსადენების სისტემისა და ევრო-ატლანტიკური ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგიის ჩამოყალიბების და რეალიზაციის მიზნით.

3) ქვეყნის ენერგოწყაროების დივერსიფიცირება.

ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობისათვის ასევე მნიშვნელოვანია ენერგიის გენერაციისა და იმპორტის წყაროების დივერსიფიცირება, ალტერნატიული წყაროებიდან საქართველოს ენერგომომარაგების საშუალებების მოძიება, ენერგოსექტორში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ხელსაყრელი პირობების შექმნა, ენერგეტიკის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და ევრაზიულ ენერგეტიკულ პროექტებში აქტიური მონაწილეობა. საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები ამ მიმართულებით შემდეგია:

- მოქმედი ტრანსნაციონალური ენერგეტიკული პროექტების ეფექტური გამოყენება, მათ შორის მათი სიმძლავრეების ზრდის მეშვეობით;

- ქვეყნის ენერგოწყაროების გეოგრაფიული არეალის გაფართოების მიზნით, ევროპის, განსაკუთრებით მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის, ცენტრალური აზიის, სამხრეთ კავკასიის, კასპიის ზღვის აუზის, ახლო და შორეული აღმოსავლეთისა

და სხვა ქვეყნებთან ერთობლივ ენერგოპროექტებზე თანამშრომლობის გაღრმავება;

- საქართველოს ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარებაში პარტნიორი ქვეყნების მონაწილეობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

- ენერგორესურსების, კონკრეტულად ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების ალტერნატიული გზების შესწავლის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.

საქართველო თავისი განვითარების მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე დგას: ქვეყანას შეუძლია აირჩიოს გრძელვადიანი სტრატეგია, რაც მას ევროპის უმნიშვნელოვანეს პარტნიორად გახდის ენერგოუშიშროების დარგში და გზას გაუხსნის ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ორგანიზაციებში მის გაწევრიანებას, ან მოკლევადიანი ხედვა ამჯობინოს, რასაც ახალ რუსულ ენერგოსისტემაში ჩართვა მოჰყვება. სადღეისოდ მთავარი ბარიერი, რომელსაც საქართველოსა და მთლიანად ევროპის გაზით მომარაგების გაუმჯობესებაზე მუშაობისას ევროკავშირი და აშშ აწყდება, რუსული „გაზპრომია". იგი არა ჩვეულებრივი კომპანია, არამედ გიგანტური სახელმწიფო მონოპოლიაა. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები დამოკიდებულნი არიან „გაზპრომზე", რადგან ეს უკანასკნელი მათთვის ბუნებრივი აირის უპირველესი მომწოდებელია. შედეგად ევროპული ენერგოსამსახურები „გაზპრომთან" გულითადი ურთიერთობის დამყარებას ესწრაფვიან. მეტიც, „გაზპრომი" ევროპის ენერგეტიკულ ბაზარზე სისტემატურად ცდილობს გააფართოვოს თავისი გავლენა რეგიონალური გაზსადენებისა და ნავთობ-

სადენების ხელში ჩაგდების გზით. თუკი „გაზპრომი“ ამას მოახერხებს, ევროპულ სახელმწიფოებს საჭიროების შემთხვევაში რუსეთზე ზემოქმედების კიდევ უფრო ნაკლები საშუალება ექნებათ.

„გაზპრომის“ სტრატეგია ნათელია: რუსეთის შიდა მოხმარებისათვის კომპანია ყიდულობს იაფ თურქმენულ, ყაზახურ და უზბეკურ გაზს, ხოლო უფრო ძვირ გაზს მდიდარ ევროპელ მომხმარებლებზე ყიდის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცენტრალური აზიის ქვეყნებმა იაფი ბარტერული გაცვლები უნდა აწარმოონ რუსებთან, მაშინ როცა „გაზპრომი“ ხელსაყრელ გარიგებებს ფლობს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან. გრანდიოზული სტრატეგიული სამუშაოს დასაგვირგვინებლად „გაზპრომი“ სამი მთავარი ქვეყნის – საქართველოს, თურქეთისა და უკრაინის – ბუნებრივი აირის ბაზარს უნდა აკონტროლებდეს. წარმატების შემთხვევაში ეს „გაზპრომს“ საშუალებას მისცემს შექმნას და მუდმივად აკონტროლოს ენერგოტრანზიტის სტრატეგიული წრე შავი ზღვის გარშემო.

საქართველო, პრაქტიკულად, ერთ–ერთი გასაღების როლს ასრულებს „გაზპრომის“ ევროპულ და ევრაზიულ პოლიტიკაში. სწორედ ამიტომ რუსეთი არანორმალურ ზეწოლას ახორციელებს საქართველოზე, რათა მისი გაზსადენები და სადისტრიბუციო ქსელი შეისყიდოს. საქართველოს ბაზრის კონტროლირება საშუალებას მისცემს რუსეთს ხელი შეუშალოს კასპიის გაზს თურქეთის ბაზარზე მოხვედრაში. თურქული ბაზრის არასრული კონტროლირების პირობებშიც კი (რაც ირანული და ერაყული გაზის არსებობით აიხსნება), თვით ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანული, ყაზახური და თურქმენული გაზი

ევროპას რუსეთის კონტროლის გარეშე ეელარ მიეწოდება, ქვეყნისათვის ენერგეტიკულ და საგარეო პოლიტიკაში დიდ გამარჯვებად შეიძლება ჩაითვალოს. „გაზპრომის“ გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს საქართველოს გაელით თურქეთისაკენ მიმავალი საკუთარი სადისტრიბუციო ქსელის შექმნა, რომელიც კონკურენციას გაუწევს სამხრეთ კავკასიის გაზსადენს და ერთხელ და სამუდამოდ დაასამარებს ტრანსკასპიური მაგისტრალური ხაზის ამუშავების იდეას.

საერთოდ, კრემლი კარგად აცნობიერებს, რომ ევრაზიული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის – განსაკუთრებით კი გაზსადენების – კონტროლი სადღეისოდ რუსეთის წარმატებული საგარეო პოლიტიკის საუკეთესო წინაპირობაა. თუ დავუშვებთ, რომ ახლო მომავალში „გაზპრომი“ ევროკავშირისათვის ბუნებრივი აირის უმსხვილეს მომწოდებლად იქცევა, მაშინ გაზის ევროპელმა მომხმარებლებმა, ისევე როგორც საქართველოს მსგავსმა სატრანზიტო ქვეყნებმა, „გაზპრომთან“ საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული კომერციული ურთიერთობა უნდა იქონიონ, ამგვარი ურთიერთობის არქონის სურვილისას კი იარსებონ მოწოდებისა და ტრანზიტის ბაზარზე არსებული კონკურეციის პირობებში და იმოქმედონ „გაზპრომის“ მონოპოლიის შესასუსტებლად. რაც მთავარია, ენერგეტიკული პროექტების განხილვისას სიტუაცია ევროკავშირისა და შეერთებული შტატების თანამშრომლობას ითხოვს.

ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ პროექტებს, რომლებიც კასპიისპირეთისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონებს თურქეთის გაელით დასავ-

ლეთთან აკავშირებს. საბედნიეროდ, 1990 წლიდაან მოყოლებული, აშშ მთავრობა წარმატებით თანამშრომლობს აზერბაიჯანთან, საქართველოსა და თურქეთთან სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე, ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის ნავთობსადენისა და შახდენიზის გაზსადენის მშენებლობის სფეროში.

ახლა ჯერი მიდგა ევრაზიული ენერგოსტრატეგიის მეორე მნიშვნელოვან ფაზაზე, რომელიც მზარდ ენერგოქსელში ცენტრალური აზიისა და შავი ზღვის რეგიონის ინტეგრირებას ითვალისწინებს და სამი პრინციპული მიმართულება გააჩნია: პირველი (პროექტი „ნაბუკო") – თურქეთის აღმოსავლეთი ნაწილიდან ავსტრიაში გაზის გატანა ბულგარეთის, რუმინეთისა და უნგრეთის გავლით; მეორე – დაგეგმარების თვალსაზრისით უფრო წინ მყოფი პროექტი, რომელიც 2007–2008 წელს უნდა დასრულდეს – ითვალისწინებს ტრანზიტს საბერძნეთზე და კონსორციუმში მონაწილე მხარეები მის გაფართოვებას იტალიის სამხრეთ ნაწილზეც აპირებენ; და მესამე – GUEU პროექტი – საქართველოდან გაზის გატანა უკრაინაში და შემდგომ ევროპის მიმართულებით.

თუკი ზემოაღნიშნული სამივე პროექტი განხორციელდება, მაშინ ევროპის მოთხოვნილება გაზზე 2010 წლისათვის დაკმაყოფილებული იქნება ენერგოუსაფრთხოებისა და მომწოდებელთა რიცხვის ზრდის თვალსაზრისით. ამ მიზნის მისაღწევად გამოკვეთილი პოლიტიკური მხარდაჭერაა საჭირო. მნიშვნელოვანია, რომ მარშრუტში მონაწილე ყველა ქვეყანა თავისუფალი ბაზრის პრინციპებს აღიარებდეს, რათა შესაძლებელი გახდეს გაზის მიღება ალტერნატიული მომწოდებლებისაგან.

საქართველოსათვის მეტად საგულისხმო მაგალითია რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტი ჩეხეთის რესპუბლიკაში. მიუხედავად იმისა, რომ ჩეხეთს ბუნებრივი აირის 80%-ს რუსეთი აწვდის, „გაზპრომმა" ვერ მიაღწია ამ ქვეყანაში გაზის სატრანზიტო და სადისტრიბუციო ქსელზე კონტროლს. ბოლო ათწლეულში ჩეხებმა მოიძიეს გაზმომარაგების ალტერნატიული წყარო – ნორვეგიული გაზი ჩეხეთში გერმანიის გავლით შედის. გარდა ამისა, ჩეხეთს გააჩნია მეორე გაზსადენიც, ევროპაში მიმავალი გაზსადენისაგან დამოუკიდებელი მილი და რეზერვუარები მნიშვნელოვანი მარაგის დასაგროვებლად.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ თუკი „გაზპრომმა" მოახერხა საქართველოს უპირობოდ დათანხმება, ის დაკარგავს სუვერენულ კონტროლს ბუნებრივი აირის გატარებასა და დისტრიბუციაზე. ქვეყანა უნდა ერიდოს რუსული კომპანიების მიმართ ვალების დაგროვებას, რათა შემდგომში არ მოხდეს ვალების ჩამოწერა ქონების გადაცემის სანაცვლოდ. საქართველოს და სამხრეთ კავკასიის ორ სხვა ქვეყანას ახლაც ძალუძთ ჩაებან სამუშაო პროცესში ევროპის ენერგოსტრუქტურებთან ერთად, რათა ხელშეკრულებების დადებისას მიაღწიონ ევროსტანდარტების დონეს. სასურველი იქნებოდა კონსულტაციები უკრაინასთან, აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის სატრანზიტო სახელმწიფოებთან, რათა შემუშავდეს კომერციულად მიმზიდველი წინადადებები ჩრდილოევროპული ქვეყნებისათვის. დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე კოორდინაციას თურქეთთან, აზერბაიჯანთან, უზბეკეთთან, თურქმენეთსა

და ყაზახეთთან გაზის ტრანზიტის შესაძლებლობების საკითხებზე სამხრეთ ევროპაში.

როგორც ინიშნა, სამხრეთ კავკასია დიდი რაოდენობით ნავთობისა და გაზის რეზერვების მქონე კასპიის ზღვის რეგიონის ჩარჩოში მოიაზრება. იგი ერთგვარ მიკრორეგიონს და, ამასთანავე, მნიშვნელოვან არეალს წარმოადგენს ევროკავშირისთვის, რომელიც ახალი ენერგო საჭიროებების წინაშე დგას და ცდილობს ენერგომომარაგების წყაროების დივერსიფიცირებას. სამხრეთ კავკასია პოტენციურად მეტად მომგებიანი და მიმზიდველი ადგილია უცხოური ინვესტიციებისთვის, განსაკუთრებით ტრანსნაციონალური ნავთობკომპანიებისთვის. ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ისტორიული „აბრეშუმის გზის" აღდგენას, რომელიც არის აზიასთან პირდაპირი სავაჭრო არხი. საქართველომ ერთგვარი ხიდის როლი შეიძლება შეასრულოს ევროპასა და აზიას შორის აფხაზეთის ტერიტორიაზე, კასპიის ნავთობის ტრანსპორტირებით, რაც ასევე გარედან თავსმოხვეული ეთნიკური კონფლიქტის დარეგულირების ერთ–ერთი ბერკეტია.[14] აფხაზეთის ტერიტორიაზე ნავთობსადენის ერთ–ერთი მონაკვეთის გავლის მიზანშეწონილობის დასასაბუთებლად შეიძლება მოვიყვანოთ ის არგუმენტი, რომ ამჟამად მოქმედი და უკვე მშენებარე ნავთობსადენები ვერ იქნება საკმარისად გამტარუნარიანი კასპიის აუზში მოპოვებული მთელი ნავთობის ტრანსპორტირებისთვის. კასპიის საბადოებში გათვალისწინებულია წელიწადში საშუალოდ 100 მილიონი ტონა ნავთობის მოპოვება და ეს ციფრი შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს.

ამასთან, ბოსფორის სრუტეში ტანკერების მოძრაობის შეზღუდვის გამო, განიხილება ხმელთაშუა ზღვაში ალტერნა-

[14] ეს საკითხი განხილულია დავით გონდაურის მონოგრაფიაში „აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრის გზა ეკონომიკაზე გადის". II თავი, 2.10. აფხაზეთის ტერიტორიის გავლით ნავთობის ტრანსპორტირების იდეა თბილისი 2006წ.

ტიული გასასელელის შექმნის საკითხი. ერთ–ერთი ასეთი ვარიანტი შეიძლება იყოს შავი ზღვის ნოვოროსიისკის ტერმინალის დაკავშირება ბაქო–სუფსის ტერმინალთან აფხაზეთის ტერიტორიის გავლით. ასეთი მარშრუტი რუსეთისთვისაც შეიძლება ხელსაყრელი იყოს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე გამავალ ნავთობსადენზე კონტროლის დაკარგვის გამო.

აფხაზეთის ტერიტორიის გავლით ნავთობსადენის ნოვოროსიისკის ტერმინალამდე გაყვანის გარდა, არსებობს აგრეთვე ოჩამჩირის ყოფილი სამხედრო ნავსადგურის ნავთობის ტერმინალად გადაკეთების მოსაზრება, საიდანაც დამატებით შეიძლება გადაიტვირთოს ნავთობი ნოვოროსიისკში და შავი ზღვის სხვა ნავსადგურებში. აფხაზეთის ტერიტორიის გავლით შეიძლება ასევე საქართველოში მოპოვებული ნავთობის როგორც ადგილზე მოხმარება, ისე ტრანსპორტირებაც.

რა როლი შეიძლება ითამაშოს ევროკავშირმა კასპიის ნავთობის აფხაზეთის ტერიტორიაზე ტრანსპორტირების ხელშეწყობისთვის? ევროკავშირის მიერ დახარჯული ასეულობით მილიონი ევრო, რამდენიმე რეგიონალური მასშტაბის პროექტი და საქართველოს დემოკრატიული გარდაქმნისთვის გაწეული დახმარება საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ ევროკავშირს საკმაოდ აქტიური მიზნები აქვს საქართველოში, რადგან სამხრეთ კავკასია ევროკავშირის ერთობლივი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისთვის (CFSP) სტრატეგიულ რეგიონს და შუა აზიისკენ ნამდვილ ჭიშკარს წარმოაგენს. TACIS-ის რეგიონალური მიმართულება ევროკავშირის რამდენიმე მრავალგანზომილებიან რეგიონალურ პროექტზე ფოკუსირდება, რომელთ-

აგან სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია TRACECA და INOGATE.

INOGATE (ნავთობისა და გაზის სახელმწიფოთაშორისი ტრანსპორტირება ევროპისკენ) 1995 წელს დაიწყო. ეს ევროკავშირის რეგიონალური მასშტაბის მეორე პროექტია, რომლის მიზანია დსთ-ის სივრცეში არსებული ნავთობ და გაზსადენების სისტემებისა და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია– მოდერნიზაცია, ალტერნატიული მარშრუტების ვარიანტების შეფასება, აგრეთვე მონაწილე ქვეყნებს შორის რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცება და ევროპისკენ ენერგეტიკული დერეფნის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა. უთუოდ, მომგებიანი იქნება როგორც საქართველოსთვის, მისი ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის, ისე თავად ევროკავშირისთვის, თუკი ე.წ. INOGATE პროექტში ჩაჯდება ზემოხსენებული კასპიის ნავთობის აფხაზეთის ტერიტორიის გავლით ევროპისკენ ტრანსპორტირება. მაგრამ, როდესაც საქართველოში ევროკავშირის აქტიურობასა და მის პოლიტიკას განვიხილავთ, აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ის შიდა და გარე ფაქტორები და მათი ურთიერთქმედება, რომლებიც პოზიტიურ თუ ნეგატიურ გავლენას ახდენენ ევროკავშირის პოლიტიკაზე საქართველოს მიმართ. ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გახლავთ რუსეთის ფაქტორი, რომელიც ყველაზე გავლენიანი ძალაა რეგიონში და რომელსაც განსაკუთრებული ინტერესები გააჩნია სამხრეთ კავკასიის მიმართ. აქედან გამომდინარე, საქართველოში ეფექტური პოლიტიკის საწარმოებლად, ევროკავშირისთვის აუცილებელია მხედველობაში იქნას მიღებული რუსეთის ფაქტორი. რუსეთი მეტად მგრძნობიარეა თავისი ყოფილი „სამფლობელოს“ ამ ნაწილის მიმართ. აფხაზეთისა

და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები, კასპიის ზღვის აუზში აღმოჩენილი ნავთობისა და გაზის საბადოებთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხები და სამხრეთ კავკასიის სატრანსპორტო დერეფნის როლი კიდევ ერთ თავსატეხს უქმნის რუსეთის ხელისუფლებას. მიუხედავად რუსეთის ჰეგემონური ზრახვებისა და რეგიონში სამხედრო უპირატესობის მიღწევის სურვილისა, მისი ჰეგემონია რეგიონში ერთგვარ დაღმასვლას განიცდის, რაც ეკონომიკური რესურსების ნაკლებობითა და ჩრდილო კავკასიაში პოლიტიკური არასტაბილურობით არის გამოწვეული. ამ მხრივ ევროკავშირს შეუძლია ისარგებლოს თავისი ეკონომიკური რესურსების უპირატესობით და ხელი შეუწყოს რეგიონის სტაბილიზაციას. სტაბილური რეგიონი სასურველია რუსეთისთვისაც, თუმცა მას არ სურს სამხრეთ კავკასიაში ძლიერი ქვეყნების ხილვა და ადვილად არც მართვის სადავეების დაკარგვას შეეგუება. საქართველოს მთავრობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება კასპიის ნავთობის ტრანსპორტირებისათვის, აფხაზეთის ნავთობსადენის (ენგურიდან– ფსოუმდე) მშენებლობის დაწყების შესახებ, აგრეთვე ცალკე დანარჩენი საქართველოს ნავთობსადენების მშენებლობის შესახებ (ბაქო–თბილისი–ენგური). როგორც ჩანს, არსებობს რესურსები, რათა დაიდოს ახალი გარიგებები, აშენდეს ნავთობსადენები და პორტები. მაგრამ საჭიროა ამ გარიგებებისა და მათი ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების პოლიტიკური და სამხედრო უზრუნველყოფა რეგიონის კონფლიქტური მდგომარეობიდან გამომდინარე. ქვეყნის მთავრობამ ამ პროექტის განხორციელებაში აქტიურად უნდა ჩართოს როგორც ევროკავშირი, ასევე ამერიკის შეერთებული შტატები.

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება

სასურსათო უსაფრთხოება, გარემოს დაცვის, ენერგიის ახალი წყაროების გამოყენებასა და სხვა აქტუალურ საკითხებთან ერთად, მიეკუთვნება მსოფლიოს კლობალურ პრობლემათა რიცხვს, რომელთა გადაჭრაზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კაცობრიობის მომავალი. გაეროს მსოფლიო სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის (FAO) ხელმძღვანელი ჟაკ დიუფი თვლის, რომ თუ არ მოხდება ნიადაგის ნაყოფიერებასა და სურსათის წარმოებაში ტექნოლოგიური გარღვევა, 2010 წლისთვის შეიძლება დაიწყოს უმძიმესი სასურსათო კრიზისი. პრობლემის აქტუალობა დაამტკიცა 2000 წლის ზაფხულში საქართველოში გვალვით გამოწვეულმა სასურსათო კრიზისმა.

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობას აქვს სასურსათო უსაფრთხოების საკუთარი საკანონმდებლო ბაზა. მაგალითად, აშშ-ში "სასურსათო უსაფრთხოების შესახებ" კანონს აქვს ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია. გერმანიაში ჯერ კიდევ 1955 წელს მიიღეს კანონი "გერმანიის სოფლის მეურნეობის შესახებ", რომელშიც მითითებულია, რომ სახელმწიფო ვალდებულია სურსათით მომარაგება განიხილოს როგორც სტრატეგიული ამოცანა, აუცილებლობის შემთხვევაში, მოახდინოს სტრატეგიული სასურსათო ფონდების ფორმირება, გამოიყენოს ეკონომიკური სტიმულირებისა და მხარდაჭერის ღონისძიებების მთელი კომპლექსი და არ ჩააყენოს სურსათის პრობლემა სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულ მდგომარეობაში.

სასურსათო უსაფრთხოების შეფასება განაპირობებს სურსათის საკმარისობის და ხელმისაწვდომობის, მისი ეკოლოგიური

სისუფთავის, აგრეთვე, ქვეყნის თვითუზრუნველყოფის დონის დახასიათების აუცილებლობას. ამასთან, ამ მახასიათებლების დონის უბრალო გათვლა სასურსათო უსაფრთხოების შეფასებაში აშკარად არასაკმარისია. აუცილებელია არსებობდეს შედარების გარკვეული ბაზა, რომელთანაც თანაფარდობაში შესაძლებელი იქნება გაკეთდეს გარკვეული დასკვნები სასურსათო უსაფრთხოების მიღწეული (არსებული) დონის მიუღებლობის ან საკმარისობის შესახებ. საქმე ეხება ადამიანის ცხოველქმედების ე.წ. "ზღვრულ" მაჩვენებლებს. მათ შორის შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

- კვების (ენერგეტიკული) ფასეულობა;
- მოხმარებული ძირითადი საკვები ნივთიერების რაოდენობა (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, მინერალური ნივთიერებები და ვიტამინები);
- პროდუქტის დაბინძურების ხარისხი;
  სურსათის იმპორტზე დამოკიდებულება;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სამამულო მწარმოებლის დაცვა.

ტრადიციულად, საქართველოს სასურსათო პროდუქტების – კერძოდ, ბოსტნეულის, ხილის, ჩაის, თამბაქოს, ციტრუსების, ღვინისა და კონიაკის, მინერალური წყლების ძირითადი მიმწოდებელი იყო. საბჭოთა კავშირის ბაზრის ბრუნვაში მისი წილი 10%-ს შეადგენდა. აგრარულ–სამრეწველო და სასურსათო კომპლექსი საქართველოს ეკონომიკის წამყვან სექტორს წარმოადგენდა. მის წილად მოდიოდა მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის 55%, ეროვნული შემოსავლის 49%, ძირითადი ფონდების – 42%.[15]

1991 წელს მოპოვებული პოლიტიკური დამოუკიდებლობის შემდეგ, ცენტრალიზებული (როგორც რესურსების, ასევე ფინანსების) მომარაგებისა და ინტეგრირებული ეკონომიკური კავშირების გაწყვეტამ და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, სხვა დარგებთან ერთად, გამოიწვია აგროკომპლექსის მოშლა, სასურსათო პროდუქციის წარმოების კატასტროფული დაცემა. პარალიზებული აღმოჩნდა სურსათის მწარმოებელი გადამამუშავებელი მრეწველობა, რომლის პროდუქტიულობა დარგების მიხედვით 40-ჯერ დაეცა. ყოველივე ამან დასაბამი მისცა იმპორტის (თანაც, დაბალფასიანი, ფალსიფიცირებული საქონლის) სწრაფ განვითარებას. იმპორტმა 4–5-ჯერ გადააჭარბა ექსპორტს. ამან, ბუნებრივია, გამოიწვია ქვეყნის საევალუტო რეზერვების გადინება, რაც კიდევ უფრო მძიმედ დააწვა ქვეყნის ეკონომიკას.

საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში (1991–1995წ.წ.) რეალურად შეიქმნა ქვეყანაში შიმშილის პრობლემა – მოსახლეობის ძალზე დაბალი მსყიდველობითი უნარის გამო და მოთხოვნა–მოხმარების კრიტიკულ ზღვრამდე დაცემის შედეგად. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 1995 წელს, ერთ სულ მოსახლეზე რეკომენდებულ ნორმასთან შედარებით, ფაქტიურმა მოხმარებამ შეადგინა: ხორცისა და ხორცპროდუქტების 17.4, კარტოფილის – 44, რძისა და რძის პროდუქტების – 28, კვერცხის 42.7, ბოსტნეულის – 45%. ასევე, საქართველოში 2000–2003 წლებში მოსახლეობის საშუალო შემოსავალი 2.7-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე საარსებო მინიმუმი

[15] გაზეთი „სამყაროს თვალი". საქართველოს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მდგომარეობა და სასურსათო უსაფრთხოების დაცვის პრობლემები. გამომცემელი: მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო საზოგადოებრივი ასოციაცია. №2, ივნისი 2005წ.

შრომისუნარიანი მამაკაცისათვის. სასურსათო უსაფრთხოების დაცვის გათვალისწინებით ეს საგანგებო მდგომარეობას ნიშნავს.

თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მწარმოებელთა პრობლემებია:

- გლეხს აქვს 1–1,5 ჰა მიწა, ისიც სხვადასხვა ადგილზე, ნაწილი ურწყავი, დაჭაობებული, ეროზიული, მცირემოსავლიანი. ამ პირობებში იგი ვერ გახდება ფერმერი. ევროპაში ფერმერს მინიმუმ 10 ჰა აქვს, ვინაიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება მომგებიანია მხოლოდ მაშინ, როცა მიწის ფართობი 10–15 ჰა-ზე მეტია (ამერიკაში ერთ კომლზე არსებული მიწის ნაკვეთი 200 ჰა-ს აღწევს);
- გლეხს არა აქვს უძრავი კაპიტალი მიწის, შენობა–ნაგებობების, ტექნიკის სახით, რის გამოც კომერციული ბანკი გაკოტრების შიშით ვერ აძლევს საჭირო რაოდენობით სესხს, ხოლო მიზერული თანხა გლეხს ფერმერად ვერ გადააქცევს;
- არ არსებობს სოფლის მეურნეობის დაზღვევის სისტემა;
- არ არსებობს ლიზინგის პრაქტიკა,ტექნიკის ცენტრალიზებული გამოყენების სისტემა. გლეხს არ აქვს საშუალება იყიდოს ყველაზე იაფფასიანი ტრაქტორი ან კომბაინი;
- გლეხი არ არის უზრუნველყოფილი ხარისხიანი სათესლე მასალის, სასუქების, ზჰამქიმიკატების, საწვავ–საპოხი მასალის ნისიად, განვადებით მომარაგებით;
- სახელმწიფო ვერ აძლევს გლეხს მოყვანილი პროდუქტის მტკიცე ფასებში შესყიდვის გარანტიას;
- შეფერხებულია აგროწესებისა და ტექნოლოგიების შემუშავება–დანერგვა უსახსრობის გამო, ფაქტიურად ვერ ფუნქციონირებს აგრომეცნიერება.

სასურსათო კრიზისის დაძლევისა და მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საქმეში პირველ ეტაპზე უპირველეს ამოცანად უნდა ჩაითვალოს:

1. საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით პუმანიტარული სასურსათო დახმარებების მოცულობის გაფართოება;

2. ქვეყანაში ჯანსაღი საინვესტიციო კლიმატისა და გარანტიების შექმნა, სურსათის წარმოების დარგობრივი პროგრამების შედგენა და ინვესტიციების მოზიდვა, ერთობლივი საწარმოების შექმნით სასურსათო პროდუქციის წარმოების გაზრდა, მოსახლეობის დასაქმება და მათი მსყიდველობითი უნარის გაუმჯობესება;

3. სასურსათო პროდუქციის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ რეალური ბრძოლის დაწყება;

4. სოფლად სასურსათო პროდუქციის მწარმოებელთა ხელშეწყობა, შეღავათიან ფასებში მათი საწვავით, სასუქით, წარმოებისათვის საჭირო სხვა დამხმარე მასალებით და ტექნიკით უზრუნველყოფა;

5. ლიზინგის, ტექნიკის ცენტრალიზებული გამოყენების სისტემის დანერგვა (მანქანა–ტრაქტორების სადგურების შექმნა);

6. სურსათის წარმოების და მოხმარების დაბალანსების საშუალებით ჭარბწარმოებისა და დეფიციტის გამოვლენა, დახმარება პროდუქციის რეალიზაციასა და დეფიციტის შევსებაში;

7. სახელმწიფოს მიერ გლეხებისათვის გარანტიის მიცემის პრაქტიკის დანერგვა მათ მიერ მოყვანილი პროდუქციის შეთანხმებულ ფასებში შესყიდვაზე;

8. სასოფლო–სამეურნეო საქმიანობის დაზღვევის სისტემის შექმნა;

9. შიდა ბაზარზე პოზიციების გამყარება. საქართველოს მთავრობის, ბიზნესმენების, მეწარმეების, საერთაშორისო კოოპერაციასთან დაკავშირებული უწყებების ერთიანი ძალისხმევით რუსეთისა და დსთ-ს ქვეყნების ბაზრებზე ტრადიციული პრიორიტეტების დაბრუნება;

10. ქვეყნიდან სასურსათო საექსპორტო პროდუქციის გატანის პროცედურების გამარტივება;

11. ადგილობრივი წარმოების პროდუქციის მიმართ პროტექციონისტული პროდუქციის გატარება – საგადასახადო ლიბერალიზაცია. იმპორტირებულ პროდუქციის აღრიცხვაზე და საბიუჯეტო შენატანებზე მკაცრი კონტროლის დაწესება;

12. მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების დაცვისა და სურსათით უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებაში მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერა და ქმედითი დახმარება;

13. სახელმწიფოს მიერ აგრომეცნიერების სათანადო დაფინანსება.

საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოება

საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკა მიზნად ისახავს ძოსახლეობის და გარემოს უსაფრთხოების დაცვას, რაც მიიღწევა ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვანი შემცირების თავიდან აცილების, გარემოს დაბინძურებისა და სტიქიური თუ ანთროპოგენული კატასტროფების პრევენციის გზით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მასშტაბურ საწარმოო ინციდენტებს და ისეთ ბუნებრივ მოვლენებს, როგორებიცაა წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი და მიწისძვრა. აუცილებელია რეგულარულად ხორციელდებოდეს რისკების შეფასება, მოსახლეობის ინფორმირების კამპანია და მუშავდებოდეს კრიზისების ეფექტური პრევენციის და პოსტ-კრიზისული მართვის პროგრამები.

საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტებია:

- გარემოს დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება.
- დაბინძურების წყაროებზე კონტროლის დაწესება, ნიდაგის დაბინძურების პრევენცია.
- საქართველოს ტერიტორიის გაწმენდა რადიოაქტიური ნარჩენებისა და სარაკეტო საწვავისაგან.
- საკვების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ევროპის და გაეროს გარემოს დაცვის სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება.

ეჭვგარეშეა, რომ საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვა მჭიდრო რეგიონულ და საერთაშორისო თანამშრომლობას საჭიროებს. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის

წარმატებული თანამშრომლობა გარემოს დაცვის სფეროში, ხელს უწყობს რეგიონში გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსფრთხოების გაძლიერებას. ამ მიმართულებით, საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა

- გარემოს დაცვისა და გეგმარებისადმი ერთიანი მიდგომის შემუშავება.

- ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეფექტური მონიტორინგის სისტემის შექმნა.

- რეგიონებსა და ცენტრს შორის ბუნებრივი რესურსების მოხმარებით მიღებული შემოსავლების სამართლიანი გადანაწილების პრინციპებისა და პროცედურების დანერგვა.

- ბუნებრივ რესურსებზე, განსაკუთრებით ტყეზე, ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების განსაზღვრა.

- ევროპის თანამეგობრობის სტანდარტების გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზირების ეფექტური სისტემის განვითარება.

- საწვავის კონტროლის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება და მისი ეფექტურად განხორციელება.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემის ჰარმონიზაცია.

სტრატეგიული და სექტორალური გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასების პრაქტიკის დანერგვა.

ტყის რესურსების მართვა

- ეკოსისტემურ მიდგომაზე დაფუძნებული ტყის რესურსების მართვა, სატყეო მეურნეობის მდგრადი განვითარების სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა.
- ხე-ტყით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა, მათ შორის, ისეთი საერთაშორისო ინსტრუმენტებით, როგორიცაა ევროპის თანამეგობრობის მიერ შემუშავებული FLEGT ინიციატივა.
- სატყეო სექტორის ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითარება ტყის მდგრადი მართვისა და გამოყენებისთვის.

წყლის რესურსების მართვა

წყლების დაბინძურების შემცირების ღონისძიებების განხორციელება.

მტკნარი წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ერთიანი სტრატეგიის მომზადება და სასმელი წყლის მარაგის განსაზღვრა.

- მდინარეთა აუზების ინტეგრირებული მართვა, მათ შორის, ძტკვარი–არაქსის აუზის ტრანს-სასაზღვრო პროგრამის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა.

ნარჩენების მართვა

- ნარჩენების, მათ შორის, რადიაქტიული და ქიმიური ნარჩენების მართვა-ცხოვების საინფორმაციო ბაზისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

- ბინაკატიზაციის პროცესში, როგორც „მემკვიდრეობიანი", სენ ბენ ... ... ნარჩენების პრობლემის იდენტიფიცირება და ინვესტორის საპრივატიზაციო დოკუმენტაციაში გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის ჩართვის პირობების შესახებ მოთხოვნების განსაზღვრა.

ბიომრავალფეროვნების დაცვა

- ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, ასევე საერთაშორისო და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გზით, დაცული ტერიტორიების ერთიანი ქსელის ჩამოყალიბება.

- აგრობიომრავალფეროვნების ინვენტარიზაცია და წითელი ნუსხის შედგენა.

- აგრობიომრავალფეროვნების აღდგენის, დაცვისა და შენარჩუნების სისტემის ჩამოყალიბება.

- ცხოველთა სამყაროს რესურსების დაცვისა და ბრაკონიერობასთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდების შემუშავება და დანერგვა.

- გენმოდიფიცირებული ორგანიზმებით გამოწვეული შესაძლო საფრთხისგან საქართველოს მოსახლეობისა და ბიომრავალფეროვნების დაცვა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების შექმნითა და ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითარებით.

ბუნებრივ კატასტროფების პრევენცია და შედეგების ზემოქმედების შეფასება

- ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზირების, შეფასების, თავიდან აცილების, სწრაფი რეაგირებისა და ადრეული შეტყობინების ეროვნული სამსახურის ჩამოყალიბება.

- ბუნებრივი კატასტროფების მართვის სტრატეგიის, სამართლებრივი ბაზისა და გეგმის, მათ შორის, ბუნებრივი რესურსების დეგრადაციის საწინააღმდეგო პროგრამის შემუშავება და დანერგვა.

საქართველოს ჩრდილოეთ–ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (NATO) გაწევრიანების აუცილებლობა და პერსპექტივები

1945-49 წლებში, ეკონომიკური რეკონსტრუქციის საჭიროების პირობებში, დასავლეთ ევროპისა და მათმა პარტნიორმა ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებმა მნიშვნელოვან საკითხად დააყენეს საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებულ პოლიტიკასთან მათი ურთიერთობის პრობლემები. შემაშფოთებელი იყო ის ფაქტი, რომ საბჭოთა ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა საკუთარი სამხედრო ძალების მონოპოლია სრული მასშტაბით. 1948 წლის მარტში ხელი მოეწერა ბრიუსელის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც დასავლეთ ევროპის ხუთი სახელმწიფო გაერთიანდა თავდაცვის სისტემის შექმნისა და ურთიერთკავშირის განმტკიცების მიზნით. ეს კი მათ საშუალებას აძლევდა წინ აღდგომოდნენ იდეოლოგიურ, პოლიტიკურ, თუ სამხედრო მუქარას. აშშ-სა და კანადას შორის მოლაპარაკებების წარმოებამ საფუძველი დაუდო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ჩამოყალიბებას, რაც ძირითადად ეფუძნებოდა უსაფრთხოების გარანტიასა და ევროპასა და აშშ–ს შორის ორმხრივ პასუხისმგებლობას. მოლაპარაკებები 1949 წლის 4 აპრილს დასრულდა, როცა ხელი მოეწერა ვაშინგტონის ხელშეკრულებას, რომელიც გაწევრიანებულ ქვეყნებში საერთო უსაფრთხოების სისტემის შექმნას ითვალისწინებდა.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ძირითად მიზანს წარმოადგენს, წევრი ქვეყნების პოლიტიკური და სამხედრო უსაფრთხოებისა და თავისუფლების შექმნა. ალიანსი უზრუნველყოფს სამართლიანობისა და მშვიდობის დამყარებას ევროპაში, რაც დემოკტარიულ ღირებულებებს, ადამიანთა უფლებების დაცვასა და კანონის უზენაესობას ემყარება. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, საერთო უსაფრთხოების შექმნის მიზნით, ერთმანეთთან აკავშირებს ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპას. იგი წარმოადგენს წევრი ქვეყნების ეფექტურ კოლექტიურ ძალისხმევას, დაიცვან საერთო სამშვიდობო ინტერესები. ისინი ნაციონალური უსაფრთხოების მიზნებს ერთობლივად აყალიბებენ. ალიანსი არის თავისუფალი სახელმწიფოების კავშირი, რომელიც უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებასა და სტაბილურობას.

NATO-ს „გაწევრიანების სამოქმედო გეგმა“ (**Membership Action Plan**) შედგება 5 თავისგან:

1. <u>პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები.</u> **NATO**-ში გაწევრიანების მსურველმა ქვეყნებმა უნდა შეიმუშაონ ყოველწლიური ეროვნული პროგრამა, რომელშიც განსაზღვრული იქნება მოსაშზადებელი პერიოდის მიზნები და ამოცანები. მასში იქნება წარმოდგენილი ანგარიში იმის შესახებ, თუ როგორ ემზადება ქვეყანა **NATO**-ში გაწევრიანებისთვის,რა მიზნები აქვს დასახული, რა ნაბიჯები იქნა გადადგმული, ვინ არიან პასუხისმგებელი პირები. გაწევრიანების მსურველ ქვეყნებს, მათი სურვილისამებრ ეძლევათ ინფორმაციის განახლების საშუალება. აღნიშნული პროგრამა **NATO**-ს საშუალებას აძლევს თვალყ-

ური ადეკვნოს პროგრესს, რათა შემდეგ მასზე რეაგირება მოახდინოს. NATO-ში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებს მოეთხოვებათ პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების დარეგულირება, კერძოდ, საერთაშორისო, ეთნიკური, ტერიტორიული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება, კანონის უზენაესობა და ადამიანთა უფლებების დაცვა, სამხედრო შეიარაღებული ძალების სამოქალაქო და დემოკრატიული კონტროლი, დამოუკიდებელი ინსტიტუტების გაძლიერება, ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და სოციალური საბაზრთლიანობის დამყარება, მონაწილეობის მიღება ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოში და პარტნიორობა მშვიდობისთვის პროგრამაში. აგრეთვე, მსურველ ქვეყნებს მოეთხოვებათ, კოლექტიური თავდაცვისათვის საერთო ძალისხმევის შემუშავება და მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება. ალიანსის ვალდებულების, ღირებულებებისა და პრივილეგიების გაზიარება. კონსესუსის პრინციპებით გადაწყვეტილების მიღება, ალიანსის გაფართოების მხარდაჭერა. ასევე მათ უნდა წარადგინონ ყოველწლიური ანგარიში ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ (მაკროეკონომიკური მონაცემები, ბიუჯეტი, ეკგანვითარება). მათ მოეთხოვებათ წარადგინონ წერილობითი დასაბუთება NATO-ს გუნდის მხარდაჭერის შესახებ, რაც შემდეგ გადაეცემათ წევრ ქვეყნებს განსახილველად.

2. <u>თავდაცვის (სამხედრო) საკითხები</u>. NATO-ში გაწევრიანებისთვის მნიშვნელოვანია, მონაწილეობა მიიღოს ალიანსის ახალ სამშვიდობო მისიებში, გააძლიეროს სამხედრო პოტენციალი. ახალი წევრები მზად უნდა იყვნენ გაიზიარონ, როგორც

კოლექტიური თავდაცვის პრივილეგიები, ასევე რისკი და პასუხისმგებლობა.

3. <u>ფინანსური რესურსები.</u> ალიანსში გაწევრიანების მოთხოვნები, ეროვნული ბიუჯეტიდან შესაბამისი თანხების გამოყოფას ითვალისწინებს. აღნიშნული თანხების არსებობა მნიშვნელოვანია სამხედრო წვრთნისა და აღჭურვის სისტემის მომზადებაში და კოლექტიური თავდაცვის განმტკიცებისთვის. **NATO**,თავის მხრივ,პასუხისმგებლობას იღებს დახმარება გაუწიოს პარტნიორ ქვეყნებს, საბიუჯეტო დაგეგმვისა და გამოყენების სფეროში. **NATO**-ში გაწევრიანების მსურველებმა,ასევე მონაწილეობა უნდა მიიღონ ალიანსის ერთობლივი დაფინანსებით წარმოებული პროცედურების განხორციელებაში.

4. <u>უშიშროების საკითხები.</u> მსურველმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა.

5. <u>ლეგალური ბაზა.</u> არსებობს მთელი რიგი ხელშეკრულებები, რომლებიც არეგულირებენ ალიანსის წევრ ქვეყნებს შორის სამართლებრივ ურთიერთობებს.

2006 წელს საქართველომ დიდი ნაბიჯები გადადგა ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის გაწევრიანების გზაზე, რამაც საზოგადოებაში უფრო გაზარდა ინტერესი ამ მიმართულებით, რაც იძლევა იმედს იმისას, რომ საქართველო სრულყოფილად შეასრულებს იმ პრინციპებსა და მოთხოვნებს, რომლებიც დაეხმარება ჩვენ ქვეყანას გახდეს ნატოს სრულუფლებიანი წევრი. ამისათვის კი, რა თქმა უნდა, საჭიროა საზოგადოების თითოეულმა წევრმა საკუთარი წვლილი შეტანოს ამა თუ იმ

ვალდებულებების შესრულებაში, ანუ იყოს ამ პროცესის უშუალო მონაწილე.

2006 წლის 13 აპრილს ბრიუსელში ნატოს შტაბ-ბინაში გაიმართა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს 26+1 ფორმატის შეხვედრა, სადაც ნატოს 26 ქვეყნის წარმომადგენლები საქართველოში ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) შესრულების შედეგებს განიხილავდნენ. შეხვედრაზე საქართველოს დელეგაციას წარმოადგენდნენ: თავდაცვის მინისტრი – ირაკლი ოქრუაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი – გელა ბეჟუაშვილი და სახელმწიფო მინისტრი ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში – გიორგი ბარამიძე. ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ფორმატი ქართულ მხარესთან შეკითხვებს და IPAP-ით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღებას ითვალისწინებდა. შესაბამისად, საბჭოს შეხვედრაზე, რომელიც 2 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, ნატოს გენერალური მდივანი და ალიანსის წევრი ქვეყნების 23 დიპლომატი, ქართული დელეგაციისაგან ისმენდნენ საქართველოში მიმდინარე IPAP-ის პროცესის შედეგებს და მათ შეფასებებს.

საქართველოს ნატოში სწრაფვისთვის აუცილებელი თეორიული ამოცანების პრაქტიკაში წარმატებულად განხორციელებამ საბჭოს წევრების პოზიტიური დამოკიდებულება განაპირობა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესები და სამუშაოები ძირითადად დადებითად შეფასდა. 23 ქვეყნის წარმომადგენლებმა თაეიანთი გამოსვლისას აღნიშნეს, რომ პროგრამა IPAP მიმდინარეობს წარმატებულად. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ უახ-

ლოეს მომავალში საქართველო ნატოსთან ურთიერთობის "ინტენსიური დიალოგის" (ID) ფორმატზე გადავა, რომელიც ითვალისწინებს ურთიერთმოქმედების გეგმას ნატოში გაწევრიანების შესახებ, ასევე იმ საკითხების განხილვას, რომლებიც IPAP-ის შესრულების გზაზე სრულად ვერ იქნა განხორციელებული. ID წარმოადგენს ერთგვარ საფეხურს IPAP-სა და MAP-ს შორის).

ცნობილი გახდა, რომ ნატოს შტაბბინაში განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ რეგიონალურ თანამშრომლობას. რეგიონალური თანამშრომლობა ითვალისწინებს გამოცდილებათა გაზიარებას ხუთ კანდიდატ ან პოტენციურ კანდიდატ ქვეყანას შორის (ალბანეთი, ხორვატია, მაკედონია, საქართველო, უკრაინა), რომელთაც თავის განცხადებაში შეეხო ნატო-ს გენერალური მდივანი. ინტენსიურ დიალოგს ნატოსთან ამჟამად აწარმოებს უკრაინა. ხორვატიისთვის ეს პროცესი ოთხ თვეში დასრულდა და ქვეყანა წევრობის სამოქმედო გეგმაზე გადავიდა. საქართველოს კი დაახლოვებით ამდენივე დრო დასჭირდება MAP–ზე გადასვლისათვის.[16]

რა როლს ითამაშებს ნატო საქართველოსათვის და რამდენად დიდი სტიმული იქნება ჩვენი ქვეყნისათვის დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების შესაძლებლობა, ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში? ნატოში გაწევრიანება შეიძლება ჩაითვალოს, ჩვენი ეროვნული ორიენტაციის ამოცანად, რომლის განხორციელების შემთხვევაშიც შესაძლებელი გახდება ჩვენი ეროვნული უსაფრთხოების გარანტირება, რის თაობაზეც ჩვე-

---

[16] „ნატო და მსოფლიო უსაფრთხოება". საგარეო ურთიერთობათა კომიტეტისა და ნატოს მხარდამჭერ სტუდენტთა ჯგუფის მიერ მომზადებული ყოველთვიური დაიჯესტი. N3 აპრილი 2006წ.

ნი წინაპრები ოცნებობდნენ. ასეთი პერსპექტივა საბოლოოდ დაამკვიდრებს საქართველოს ევროპულ ოჯახში და ხელს შეუწყობს დემოკრატიის განვითარების შეუქცევად პროცესს, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის მოდერნიზების თვალსაზრისით. ჩვენ ვეთანხმებით ხელისუფლების აზრს, რომ 2008 წელს საქართველო ნატოს სრულუფლებიანი წევრი ქვეყანა გახდება. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანდით ფრიტიოფ ნანსენის შემდეგ სიტყვებს: „დიდი მიზნის მიღწევას დიდი მონდომება სჭირდება, ხოლო მიუღწეველი მიზნის მიღწევას კიდევ უფრო მეტი".

საქართველოს ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში, რამდენად შეიცვლება ურთიერთობა რუსეთთან? ვფიქრობთ, რომ რუსეთთან საჭიროა სერიოზული მუშაობა. ამისათვის ჩვენი და ჩვენი დასავლური პარტნიორობის ერთობლივი ძალისხმევით უნდა დავარწმუნოთ რუსეთის პოლიტიკის ელიტარული წრეები, იმაში, რომ საქართველო ნატოში გაწევრიანებით არ ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებსა და უსაფრთხოებას. რუსეთს ნატოსთან საკმაოდ ფართო თანამშრომლობა აქვს დღეისათვის, მათ აქვთ ერთობლივი ინტერესები და თანამშრომლობის გამოცდილება. ამიტომ ასეთი მუშაობა არ არის პერსპექტივას მოკლებული.

თანამედროვე საქართველო იმყოფება რთული და სუსტი ბალანსის მდგომარეობაში, არის ინტერესთა ჭიდილი, ცენტრისკენული და ცენტრიდანული ძალების დაპირისპირება. ასეთ ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პრობლემისადმი კონცეპტუალურ მიდგომას, მის სამხედრო–პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ, კულტურულ. ეკოლოგიურ და სხვა აპექტებს. თუმცა ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ ვიდრე საქართველოში ეთნოკონფლიქტები არსებობს, როგორიც არ უნდა იყოს, მაგალითად, შეიარაღების დონე, ეროვნული უშიშროება ფიქცია იქნება.

ვიდრე ჩვენს ქვეყანაში მოწესრიგებული არ არის ეკოლოგიური მდგომარეობა, საქართველო ყოველთვის იდგება თავისი არსებობის ფიზიკური პირობების დეგრადაციის საფრთხის წინაშე.

ვიდრე საქართველო ჩაფლულია მისი ეკონომიკის დამანგრეველ ვალებში, ვიდრე მას არ ექნება სამართლიანი ეკონომიკური წყობა, რომელიც უკლებლივ უზრუნველყოფს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მოცემული დონის შესაფერ ცხოვრებას, უსაფრთხოება მერყეევი და არასაიმედოა.

ვიდრე საქართველოში არ აღიარებენ ზოგადსაკაცობრიო ადამიანურ ღირებულებებს და პიროვნების უფლებათა პატივისცემის ერთ საერთო სტანდარტს, ჩვენ წინაშე მდგარი ვერც ერთი პრობლემა წარმატებით ვერ გადაწყდება. მაშასადამე, შეუძლებელი იქნება ერთიანი უშიშროების უზრუნველყოფა.

ჯაჭვის ამ რგოლების ლოგიკური კავშირი ამჟამად ისეთია, რომ ერთ–ერთი რგოლის ამოვარდნა მთელ ჯაჭვს დაშლით ემუქრება. ეს უნდა გვახსოვდეს, რათა ძველთაძველმა ჩვეულებებმა და ტრადიციებმა არ გამოიწვიონ მოსახლეობის სახიფათო გადახრა ანგარებით დამძიმებული ვიწრო ეროვნული ინტერესებისკენ.

ყოფილი საბჭოთა კავშირი „ზესახელმწიფოდ“ ძირითადად სამხედრო ძლიერების წყალობით იქცა. მაგრამ იმავე სამხედრო ძლიერების უსასრულო ზრდამ ზესახელმწიფო დააქვეითა მესამეხარისხოვანი ქვეყნის მდგომარეობამდე, წარმოშვა პროცესები, რომლებმაც დაშალა ქვეყანა. საერთო ეროვნულ პროდუქციაში სამხედრო ხარჯების წილით, ყოფილი საბჭოთა კავშირი აშშ-ს უსწრებდა ორჯერ, ჯანმრთელობის დაცვისთვის გაწეული ხარჯებით ჩამორჩებოდა ორ–ნახევარჯერ. მართალია, ყოფილი საბჭოთა კავშირი აშშ-თან სამხედრო პარიტეტით ამაყობდა, მაგრამ მათ იმ პერიოდში ოცნებადაც კი არ ჰქონდათ კვების პროდუქტების, პირველადი მოთხოვნილების საგნების წარმოებაში პარიტეტის მიღწევა. ყოველივე ამის კატასტროფული დეფიციტი არც მათ უშიშროებას განამტკიცებდა და არც ეროვნულ ინტერესთა უზრუნველყოფას უწყობდა ხელს. იარაღის მსოფლიო ბაზარზე პირველი ადგილი რომ დაიკავეს (სავაჭრო გარიგებათა საერთო რიცხვის 28%) და მათი მოწინავე ტექნოლოგიის დროშად კალაშნიკოვის ავტომატი აქციეს, მოსახლეობის ცხოვრების დონით, სახელმწიფოთა მეექვსე ათეულში აღმოჩნდნენ, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით – 32-ე ადგილზე, ბავშვთა სიკვდილიანობით – 50-ზე.

ჩვენი აზრით, არა მხოლოდ უზნეობაა, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც სახიფათოა, რომ საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა და კონფლიქტების მოგვარება ზემოხსენებულის გათვალისწინებით, მხოლოდ ტანკებზე და იარაღზე დაფუძნდეს და სრულიად გამოირიცხოს ადამიანის კეთილდღეობა.

დღეისათვის ეროვნულ უშიშროებაზე ტრადიციული, ძველთაძველი წარმოდგენები, რაც საგარეო სამხედრო მუქარისგან ქვეყნის დაცვას გულისხმობდა, შეიცვალა. ეს გამოიწვია კაცობრიობის ისტორიაში ღრმა და არსებითმა სტრუქტურულმა ძვრებმა და ცვლილებებმა, მეცნიერებისა და ტექნიკის ზრდამ, მსოფლიო პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ინფორმაციული ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების ფორმირებამ.

საქართველოს უშიშროებას უზრუნველყოფილად და კონფლიქტებს მოგვარებულად ვერ ჩავთვლით, თუ უპირატესად სამხედრო, ანუ ძალისმიერ საშუალებებს დავეყრდნობით. ჩვენი მდგომარეობა ამ შემთხვევაში სახარბიელო არ იქნება, რადგან მსოფლიოში პოლიტიკური გავლენისა და ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფის წყარო სულ უფრო და უფრო ხდება ეკონომიკური, მეცნიერულ–ტექნოლოგიური, საფინანსო–საკალუტო ფაქტორები. ხოლო შეიარაღებათა უსარმაზარ არსენალებს, რომლებშიც დიდი რესურსები და სახსრებია დაბანდებული, დღევანდელი დღის მოთხოვნებზე რაციონალური პასუხი არ გააჩნიათ. ამ შეიარაღებათა დამანგრეველი ძალა იმდენად დიდია, რომ მათი გამოყენება შეუძლებელია საკუთარი ქვეყნის დაღუპვის რისკის გარეშე. დიდი სამხედრო პოტენციალის

ფლობა საქართველოს საიმედო დაცვას კი არ შეუქმნის, პირიქით, დაასუსტებს მას, რესურსებს მოაკლებს და შეაფერხებს მშვიდობიან ეკონომიკურ განვითარებას, მაღალი ტექნიკური დონის მიღწევას, მოსახლეობის მოთხოვნილებათა მაქსიმალურ დაკმაყოფილებას. ცხადია, რომ ნებისმიერი საშინაო და საგარეო პოლიტიკური პროგრამა, ჩანაფიქრი თუ მოქმედება – ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის საშუალებათა ჩათვლით – მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს ჭეშმარიტ ეროვნულ პრიორიტეტებს, საქართველოს ხანგრძლივ ინტერესებსა და რეალურ შესაძლებლობებს, მოქალაქეთა მოთხოვნილებებს.

უშიშროების უზრუნველყოფა და ეთნოკონფლიქტების მოგვარება საქართველოში შესაძლებელია მხოლოდ პოლიტიკურ–ეკონომიკური საშუალებებით, ანუ იმის აღიარებით, რომ პოლიტიკის ძალა ძალის პოლიტიკაზე უზენაესია. ის, რომ საქართველოსა და რუსეთის მომავალი ურთიერთობა მეტად დამოკიდებულია ცენტრში გარდაქმნებზე, ვიდრე პერიფერიაში და რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი გადაიქცნენ რუსეთის ფედერაციის პერიფერიად, არ ნიშნავს, რომ კონფლიქტების დარეგულირება საქართველომ მოსკოვში უნდა ეძებოს. საქართველომაც თავისთავზე უნდა აიღოს აქტიური როლი გადაწყვეტილების მოსაძიებლად. ამისათვის, თავის მხრივ, საჭიროა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის ნორმალიზაცია. აუცილებელია აგრეთვე ღონისძიებები ნდობის განსამტკიცებლად ცენტრს, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს შორის. საქართველოს მთავრობამ უნდა დაარწმუნოს ორივე ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი ცენტრის უნარიანობაში, რომ

შეუძლია რეფორმების ჩატარება და მზადაა ნაციონალური კონ-ფლიქტების მშვიდობიანი გზით მოწესრიგებისათვის. ბუნებრივ-ია, ბევრი რამ ძნელი განსახორციელებელია, მაგრამ თუკი ქართველი პოლიტიკური ლიდერები შეძლებენ, თავიანთი თავი დაარწმუ-ნონ ამ მიმართულებით წინსვლაში, მათ ექნებათ შანსი, ამაში დაარწმუნონ აფხაზებიც და ოსებიც.

გასაგებია, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რათა საქართველოს ეკონომიკურმა როლმა აფხაზეთსა და ოსეთში მიაღწიოს თავისი შესაძლებლობების შესაბამის დონეს. აქ ჩვენი მხრივ საჭიროა აქტიური „ეკონომიკური დიპლომა-ტია", აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სამეურნეო ცხ-ოვრებაში ახალი ფორმირების ჩართვა. ამისთვის აუცილებე-ლია შინაგან წყობაში ისეთი ზომების მიღება, რომლებიც ბი-ძგს მისცემენ აფხაზეთისა და ოსეთის რეგიონში ეკონომიკისა და ბაზრის განვითარებას, შექმნიან ინვესტიციებისთვის ხელ-საყრელ პოლიტიკურ და სამართლებრივ გარემოს.

საქართველოს დღევანდელი ვითარება – საბაზრო ეკონომი-კაზე გადასვლა, მისი მეტი გახსნილობა, საგარეო–ეკონომიკურ ურთიერთობათა ურთიერთმომგებიანი ფორმების დანერგვა – საფუძველს ქმნის, რომ საქართველო ჩაერთოს კონფლიქტის ზონის ეკონომიკურ არქიტექტურაში, რომლის ფორმირებაც ახლა ხდება. ჩვენმა ქვეყანამ უნდა მოიწადინოს, რომ განეი-თარებული ქვეყნების ეკონომიკა ორგანულად დაუკავშიროს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რეგიონში ჩამოყალიბების ფაზა-ში მყოფ ეკონომიკურ კომლექსს.

როგორ იცხოვრებს საქართველო მესამე ათასწლეულში? რას დავტოვებთ ჩვენ მემკვიდრეობად – იარაღის მოებს, რომლებსაც შეუძლიათ ყველას და ყველაფრის განადგურება, მტრობასა და კონფრონტაციას, ეკოლოგიურ კოლაფსსა და ეკონომიკურ წყობას, რომელიც თავისით ინგრევა, თუ კეთილმეზობლობისა და გლობალური თანამშრომლობის სისტემას, რომელშიც აღარ იქნება არანაირი სამხედრო და სხვაგვარი მუქარა, სისტემას, რომელშიც ყველას შეეძლება თავისუფლად შრომა, ცხოვრება და რაც მთავარია, ცხოვრებით გახარება.

დიდი გამბედაობა არ სჭირდება იმის თქმას, რომ ხვალინდელი დღის ბედი უკვე დღეს წყდება. საქართველოს მომავალი თაობის ბედი დამოკიდებულია იმაზეც, თუ როგორ გვესმის მდგომარეობა ქვეყნისა, რომელშიც ვცხოვრობთ; იმაზე, თუ რამდენად სწორად ვხედავთ საქართველოს განვითარების ტენდენციებს და რამდენად საფუძვლიანად ვირჩევთ ჩვენი ქცევის ორიენტირებს.

დასკვნის სახით გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ <u>ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემას საკვანძო ადგილი უნდა დაეთმოს ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთელ სისტემაში.</u> მითუმეტეს, თანამედროვე ეპოქის ისეთ რეალობაში, როცა საყოველთაო აღიარებით არა მარტო მოცემული ქვეყნის, არამედ უსაფრთხოების სხვა დანარჩენ განზომილებებშიც – რეგიონალური და მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში არასამხედრო სფეროებს სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ. ამასთან, ჩვენი აზრით, ქართული სახელმწიფოს ფორმირებაში უსაფრთხოების ამ არასამხედრო სფეროებიდან

განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას უნდა მივაკუთვნოთ იმიტომ, რომ არა მარტო მოსახლეობისა და მთელი ქვეყნის სტაბილური ვითარება და მომავლის რწმენა, არამედ თვითონ ქვეყნის თავდაცვა და სამხედრო სიძლიერე პირდაპირ და უშუალოდ არის დაკავშირებული ეკონომიკურ ზრდაზე. ზრდის მაღალი ტემპისა და ქვეყნის მტკიცე ეკონომიკური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობისას,მისი არმია თუ ფლოტი,ავიაცია და ნებისმიერი ტიპის სხვა შეიარაღებული ძალისმიერი სტრუქტურაც მუდამ უმაღლეს საბრძოლო მზადყოფნაში იქნება. სხვა ვითარებაში, როცა ეკონომიკურ ზრდას არა აქვს ადგილი, ლაპარაკი ძალისმიერი სტრუქტურების მაღალ საბრძოლო და ზნეობრივ დონეზე, ზედმეტია. ეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ და მუდმივად ყურადღების ცენტრში გექონდეს სახელმწიფოს მშენებლობისას.

კიდევ ერთ სახელმძღვანელო დასკვნას გვინდა მივაქციოთ ყურადღება, რაც, ჩვენი აზრით, აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ხელისუფლების მიერ უშიშროების პრობლემების შესწავლის დროს. საქმე ეხება ჩვენი ეროვნული ეკონომიკის ისეთ ტრადიციულ დარგებს, რომელთა საფუძველზეც ხდებოდა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ჩვენს ქვეყანაში საუკუნეების მანძილზე. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა თანამედროვე მსოფლიოს რეალურ ობიექტურ ვითარებაში, განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შიმშილის რეალური საფრთხე ემუქრება. აქედან გამომდინარე, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ჩვენი ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთ პრიორიტეტად მიგვაჩნია. ამას ზედ

ეროვის ეკოლოგიური პრობლემების ზრდა, ატმოსფეროს და ბიოსფეროს გაუარესება, წყლისა და ჰაერის დაბინძურება და ა.შ. ილია ჭავჭავაძე საქართველოს სიმბოლურად "პერისა და ღვინის ქვეყანას" უწოდებდა, რაც ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი თაობების აღზრდას განაპირობებდა, ხოლო ივანე ჯავახიშვილი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში "საქართველოს ეკონომიკური ისტორია" სიამაყით წერს, რომ ჩვენი წინაპრების სწორი ეკონომიკური პოლიტიკისა და ეფექტური სამეურნეო ორგანიზაციული ფორმების შედეგად, საქართველოს და ქართველ ერს თითქმის არასოდეს განუცდია "დიდი და მასობრივი შიმშილობის საფრთხე". აქ ისიცაა ხაზგასმული, რომ ქვეყნის ბუნებრივ ისტორიული განვითარებით, მარცველეულის წარმოება ყოველთვის იყო წამყვანი სტრატეგიული დარგი. ამრიგად, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ქართული სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია.

David Gondauri

On Some Issues Related with the Research of Georgian National Security Problems

Resume

Globalization poses the modern world and Georgia too to completely different demands. The state, which will fail to adjust itself to these new demands, may find itself before the looming threat of losing its statehood. In general-security belongs to the category of the most important values.

No society can exist and normally develop without ensured security. Nowadays security problems are as actual as democracy and human rights protection. According to the earlier understanding security meant: protection of state boarders from the foreign countries' undermining activities, extraordinary situations, natural disasters, also ecological safety etc. After intensive research of the problems, it became obvious, that security is a broader concept, it involves various and important aspects, and there are economic issues among them.

Present-day Georgia is in hard and weakly balanced situation; there is a struggle of interests and opposition of centripetal and centrifugal forces. The greatest significance is given to the conceptual approach towards the national security problems, also to the military politics, economical, humanitarian, cultural, and ecological and other aspects.

However, while ethno conflicts exist in Georgia, the national security would be none than invention. No matter what's the level of armament in the country.

While the ecological problems remain unsolved in our country, Georgia will always be posed to the threat of its physical degradation.

While Georgia is engulfed in the debts which decrepits its economy while there is no fair economical system, completely ensuring scientific and technical developments at the appropriate level, the security will be unreliable.

While there is no acknowledged standard in Georgia for general human values and of the respect of human rights, common to all the humanity – there is no chance to successful resolution to any of the problems. Therefore common security guarantee will be impossible.

At the present, the logical connectivity of the chain is that if any ring slips out, the whole chain may break. We should remember it in order to avoid the narrow national bigotry of the people who may incline towards it if their ancient customs and traditions turn into prejudice. Nowadays the traditional, old impression about national security, what meant defense of the country from foreign military threat has been shattered. This was caused by drastic structural changes in the history of humanity, scientific and technical development, the formation of world politics, economics, social, informational intercommunication and interrelation.

We cannot consider the problems and conflicts of Georgian security settled if we rely on the military or forcible means. We will not find ourselves in a benevolent condition is such case.

Since economic, scientific- technological, financial factors become source of political influence and insurance of the national interests as well. However, the huge arsenals of the armament, in which scalable resources are invested, have no rational answer at the present demands. The ruining power of the armament is so horrendous, that it is impossible to use them without the destroying risk of one's own country. The greater military potential is not a right strategy for reliable defense of Georgia; On the contrary, it will reduce the resources and hamper the peaceful development and will not meet the increased needs of the population.

Evidently, both, internal and foreign political programs, drafts or actions, including the insurance of national security, which should coincide with the national priorities, the prolonged interests and real capabilities of Georgia and the requirements of the population.

Security insurance and ethno conflicts arrangement are possible in Georgia only by the political-economical sources or by the acknowledgement, that political power is the superior than the policy of power.

In conclusion, we would like to emphasize, that problems of economic security should be become of keynote importance in the whole system of the state security. Moreover, in the reality of modern epoch it is overwhelmingly accepted that not only the security of a particular state, but also the security in the rest of its

dimensions, for example – nonmilitary spheres, - should be attached greater importance.

We do think that, in the process of state formation of Georgia, we should consider economic security of special importance – since not only the state stability and belief in the future, but also state defense and military capability have straight and immediate connections to the economic development. In the case of rapid pace of development and steady economy of the advanced technical basis, the state army or navy, aviation and any type-armed structure will be in the advanced readiness condition.

Otherwise, when there is no economic growth in the state – there is no opportunity for the advanced military readiness and high level of moral.

This is what we should take into consideration and focus over during the process of state formation.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბ.ალადაშვილი. „ეკონომიკური უსაფრთხოების არსი, მიზნები და მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოში“. ინტერნეტ ვერსია.

2. ჯ.გახოკიძე. ზ.გარაყანიძე. „ეკონომიკური უსაფრთხოების ადგილი და როლი ქართული სახელმწიფოს ფორმირებაში“. ქართული სამართლის მიმოხილვა – 2001 წლის მესამე-მეოთხე კვარტალი.

3. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. ‘ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა“. გვ.22. თბილისი 2005წ.

4. დავით გონდაური. „აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრის გზა ეკონომიკაზე გადის“. მონოგრაფია. თბილისი 2006წ.

5. ბასილია თ. სილაგაძე ა. ნიკვაიძე თ. „პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე“. თბილისი, 2001წ.

6. გამსახურდია გ. „ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში“, თბილისი 1997.

7. გამსახურდია გ. „საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“. თბილისი. 1995.

8. გამსახურდია თ. „საქართველოს საგადასახადო–საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“, თბილისი 2003წ.

9. გოცირიძე რ. კანდელაკი ო. „გავლენიანი ჯგუფები და კორუფცია. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მუქარა“. თბილისი 2001წ.

10. მაღლაკელიძე თ. „ეკონომიკური უსაფრთხოება“. 2002წ.

11. მესხია ი. „ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეპტუალური საკითხები“, ეკონომიკა. №1-3 1996წ.

12. გ.ნატროშვილი. „საქართველოს შიდა ეკონომიკური საფრთხეები და მათი მართვის გზების ძიება“. ინტერნეტ ვერსია.

13. ბალცეროვიჩი ლ. „თავისუფლება და განვითარება. თავისუფალი ბაზრის ეკონომიკა“.

პოლონურიდან მთარგმნელი – ა.გრიშიკაშვილი. თბილისი 2004წ.

14. რ.ოთინაშვილი. „ეკონომიკური უსაფრთხოება, ანალიზის ანტიკრიმინალური ასპექტები“. გვ.302. თბილისი 2005წ.

15. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. 'საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ხედვა და დირექტივები 2006 წლისათვის“. თბილისი 2006წ.

16. გ.ნატროშვილი. „ეკონომიკური უსაფრთხოების მიზნები, ფაქტორები და მაჩვენებლები“ http://www.fcs.ge/AxaliAzri/december2003/page2.htm

17. ე.კუკრიჯი. „ინგლისის საიდუმლო სამსახურის საიდუმლოებანი“. გვ 258. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი 1968წ.

18. „ნატო და მსოფლიო უსაფრთხოება“. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტისა და ნატო-ს მხარდამჭერ სტუდენტთა ჯგუფის მიერ მომზადებული ყოველთვიური დაიჯესტი. N3 აპრილი 2006წ.

19. დ.ბაზღაძე. „საქართველოს უშიშროების სამსახურის სტრუქტურის პროექტი“. ინტერნეტ ვერსია.

20. ლ.ღირსიაშვილი. „მოსაზრებები სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს რეფორმის კოცეფციისათვის“. პოლიტიკური კვლევების ცენტრი. ინტერნეტ ვერსია.

21. ლ.ღირსიაშვილი. „უშიშროების სისტემის რეფორმის კონცეფცია“. პოლიტიკური კვლეკების ცენტრი. ინტერნეტ ვერსია.

22. „გაერო. ჰუმანიტარული სიტუაცია და გზა განვითარებისაკენ 2006. საქართველო“. დოკუმენტი მომზადდა საქართველოში გაეროს მუდმივი კოორდინატორის ოფისის ჰუმანიტარულ საკითხთა ჰგუფის მიერ. ნოემბერი, 2005წ

23. მ.ჯიბუტი. „საქართველოს კაპიტალის ბაზრის სფეროში უკანონო შემოსავლის ლეგალიზების გამოვლენა და აღკვეთა“. ინტერნეტ ვერსია.

24. თ.ბოჭორიშვილი. „რეგიონული უსაფღთხოება და კავკასიის მომავალი“. ინტერნეტ ვერსია.

25. „სახელმწიფოებრიობა და უსაფრთხოება: საქართველო ვარდების რევოლუციის შემდეგ“. ბრუნო კოპიტერსის რედაქციით. ავტორთა კოლექტივი. „ჰუმანიტარული და ზუსტი მეცნიერებების ამერიკული აკადემია“, კემბრიჯი, მასაჩუსეტსი. ‘მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი“. თბილისი, საქართველო 2006წ.

26. გ.ხელაშვილი. „რეგიონული უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში: ქართული ხედვა“.

27. გაზეთი „სამყაროს თვალი“. საქართველოს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მდგომარეობა და სასურსათო უსაფრთხოების დაცვის პრობლემები. გამომცემელი: მომხ-

მარეგულირებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო საზოგადოებრივი ასოციაცია. №2, ივნისი 2005წ.

28. А. Илларионов, «Критерии эк. безопасности» Вопроси экономики. 1998 № 10

29. В. Медведев, «Проблемы экономической безопасности» Вопроси экономики 1997 № 3

30. Robert Legvold and Celeste A. Wallander, eds. *Swords and Sustenance: The Economics of National Security in Belarus and Ukraine* (Cambridge, MA: The MIT Press, 2004).

31. World Bank Technical Paper No. 423: "Non-Payment in the Electricity Sector in Eastern Europe and the former Soviet Union"

32. Georgia's National Energy Regulatory Commission. 2002. Annual Report

33. Coppieters, B., 'A Regional Security System for the Caucasus'

34. Larsson, R. L., 'Georgia's Missing Security Compass'. *Central Asia – Caucasus Analyst*, 2 July 2003.

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი 4
2. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები 10
3. საქართველოს სოციალური უსაფრთხოება . .44
4. საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოება 48
5. სპეციალური დანიშნულების სამსახურების როლი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში 52
6. საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება 62
7. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება 76
8. საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოება .82
9. საქართველოს ჩრდილოეთ–ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (NATO) გაწევრიანების აუცილებლობა და პერსპექტივები .87
10. ბიბლიოთქმა .94
11. REZUME 102
12. გამოყენებული ლიტერატურა .106

David Gondauri

On Some Issues Related with the Research of Georgian National Security Problems
(in georgian)

Tbilisi, 2007

კომპიუტერული გრაფიკა და დიზაინი: გიორგი გონდაური

კორექტორი: ხათუნა ჩხარტიშვილი

რეზიუმეს თარგმნა: ინგა დიასამიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: უნა ლომთათიძე